წელიწადი მეხუთე — კვირა, 22 თიბათვე 1919 წ. № 128 — ფასი 2 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის გვარი და მისამართი. პირობით გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქტორი ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

კონტორა

„საქართველო"ზე ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირს—120 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 40 მანეთი. ცალკე № 2 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტის პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე—1 მ. 50 კ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 50 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 5 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

გაუბედურებული დედა, ძმები და დები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ, რომ კვირას, 22 თიბათვეს, დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ

ვლადიმერ პავლეს ძე

გოგბერიძეს (?)

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილ. 10 ს. და პანაშვიდი 12 საათზე.

(3—2454 3)

მწუხარენი მშობლები მღვდელი დავით კახაბერი და მარიამ ზაქარიას ასული, დები თამარი და სოფიო, ძმები გრიგოლი, შალვა და გიორგი, რძლები ნინო ალექსანდრეს ასული და ეფროსინე ტიმოთეს ასული აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა ნახევარ წლის გარდაცვალებას ჯარის კაცის

სტ. არჩილ კახაბრისას

23 თიბათვეს (ახ. სტ.) წირვა დაიწყობა 9 საათზე კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში, პანაშვიდი იქვე საფლავზე.

(1—2461—1)

მეორე საარტილერიო ბრიგადის ჯარის კაცი ეგნატე დოლიძე ამით აუწყებს ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ დღეს 22 თიბათვეს დილის 12 ს პეტრე-პავლეს ეკლესიაში გადახდილ იქნება 6 თვის წირვა და პანაშვიდი

იოსებ (ჯოზეფ) გიორგის ძე გერიძის.

გულ-დასერილნი და მწარედ დასევდიანებულნი: ლელი რობიტაშვილი და მისი მეგობარი ანეტა ხარაძე და ერნა გროტე აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ, რომ ორშაბათს, თიბათვის 23-ს კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი პირველის უძვირფასესი და დაუვიწყარი მეგობრის სტუდენტ-მედიკის

არჩილ დავითის ძის კახაბრის

სულის მოსახსენებლად.

(1—118—1)

დიმიტრი თედორეს ძე შვილით თამრიკოთი, მარიამ სოლომონის ასული, ნადეჟდა და ნინა თადეოზის ასულნი, ნიკოლოზ, მიხეილ და გიორგი თადეოზის ძენი და ილია დარისპანის ასული დეკანოზიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ კვირას 22 ივნისს ნაშუადღევის 1 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქმნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი და დაუვიწყარის პირველის მეუღლის, მეორის დედის და უკანასკნელთა რძლის

ეკატერინე პეტრეს ასულის დეკანოზიშვილის

სულის მოსახსენებლად.

დავით ვასილის ძე და ლიუდმილა ედუარდის ასული შვილებითურთ: ელისაბედ, ალექსანდრა, ვასილი, ნიკოლოზ, ეროთეოზ და დავითი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ორშაბათს, 23 თიბათვეს გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ შვილის პირველთა და დისა უკანასკნელთა

ლიუდმილა (ლიუდოჩკა) დავითის ასული

სიდამონ-ერისთავისა

სულის მოსახსენებლად. წირვის დასაწყისი 10 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. ხოლო პანაშვიდისა 12 საათზე განსვენებულის სასაფლაოზე. 1—2465—1

ვ. იაშვილის სახელოსნოში

ოლღას ქუჩა № 18.

იყიდება ახალი, და ვღებულობთ შესაკეთებლად ვენახის სარწყავ მანქანებს სისტემა „ვერმორელი"-სა იქვე იყიდება სხვა და სხვანაირი გოგირდის საბერველები და ასანთები (ზაჟიგალკა). 3—2466—1

ევროპიულ-კავკასიური სავაჭრო ბანკი ყოფილი გერმანულ-კავკასიური ბანკი

განაგრძობს თავის ოპერაციებს ბანკის წესდების მიხედვით

ნაღდ ფულზე

ყურადღება!

მოიკითხეთ

საუკეთესო ხარისხის

კონიაკი

ძმ. კაიშაურებისა

ყურადღება!

მისამართი: ელისაბედის ქ., 117, ტელ. 9 77.

12—2 11—5

გ. ლეონიძე — წიგნი I.

1. „კვირეები". 2. „ცივი ნავრუში".
3. „ყაზახები". 4. „საქართველო".

წიგნი მკათათვის ნახევარში გამოვა.

სამხედრო მოსამსახურეთა დამ-მარე კომიტეტის

საზოგადო წლიური კრება

დანიშნულია კვირას, თიბათვის 22-ს 1919 წ. დილის 9 საათზე ძიძიშვილის გიმნაზიაში, ლორის მელიქოვის და პუშკინის ქ. კუთხე (ძველი სემინარიის შენობა. თუ კრებაზე არ გამოცხადდება წევრთა კანონიერი რიცხვი, მაშინ მეორე კრება ინიშნება იქვე და იმავე რიცხვში დილის 10 საათზე ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, მიუხედავად რიცხვის რაოდენობისა.

დღის წესრიგი:

1. გამგეობის მოხსენება საზოგადოების მოქმედების შესახებ 1919 ოპერაციულ წლის განმავლობაში.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება
3. გამგეობის ორი წევრის და სარევიზიო კომისიის ორი წევრის დამატებითი არჩევნები.
4. 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.
5. საწევრო გადასახადის გადიდება.
6. მიმდინარე საკითხები.

კრებაზე შესვლის დროს საწევრო წიგნაკს მოსთხოვენ.

გამგეობა

ქართული კლუბი

6 მკათათვე

დიდი სეირნობა-საღამო

გაზეთ „საქართველოს" ფონდის გასაძლიერებლად.

1—1 საღამოს გამგე ნ. ე. წერეთელი.

ქართული კლუბი

კვირას, თიბათვის 22-ს, დილის 11 საათზე დანიშნულია კლუბის დარბაზში წევრთა

არა ჩვეულებრივი კრება

განსახილველია: კლუბის წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლა მიმდინარე საქმეები და მუდმივ მოსიარულეთა არჩევნები. თუ ვინიცობაა ამ დღეს კრება არ შესდგა, მეორე კრება დანიშნულია თიბათვის 29 ს, რომელიც წესდების მე-29 მუხლის ძალით ჩაითვლება კანონიერად, რამდენი წევრიც უნდა დასწრონ. 2—117—2

კვირა, 22 ივნისი ქართული კლუბი კვირა 22 ივნისი

მესხეთ-ჯავახეთის დღე!

დღისით: დიდი საბავშო დღესასწაული. 5—7 საათამდის ბავშვების სეირნობა და თამაში ცნობილ „ბავშვების მეგობარის" ი. მ. სუნდუკიანცის ხელმძღვანელობით 7—9 საათამდის ცეკვა და ორკესტრი. ახალი სათამაშონი! ძვირფასი საჩუქრები!

საღამოს: დიდი სეირნობა! ახალი გასართობები „გამოუცნობი გამოცანები"! ქართული დუქანი—ქეიფი დილამდის. კონცერტი: სიმღერა—ქ-ნნი კოლ-ლეჯიცკაია, გარტმან ბ-ნნი: სარაჯიშვილი, ინაშვილი და პოლიაევი. ბალეტი: ბაუერზაკს, ვაკარეც პოეზია: პაოლო იაშვილი, ლელი ჯაფარიძე, გალ. ტაბიძე და თავეუნა.

დიასახლისი ქ-ნი მარ. რამიშვილისა. 2—უ—2

ქართული კლუბი

კვირას, თიბათვის 22-ს, შუადღის 12 საათ.

საზოგადოება „საბავშო თეატრი"-ს მიერ

გაიმართება პირველი საცდელი

საბავშო წარმოდგენა-კონცერტი

ფასები 10 მან.—3 მან. 2—უ—2

ავჭალის შუშის ქარხნის საზოგადოება

ავჭალის შუშის ქარხნის საზოგადოება ამით აცხადებს ყველას საყურადღებოდ რომ ჩვენმა ქარხანამ დაიწყო მოქმედება. იყიდება აგრეთვე ბოთლები: შამპანიურის, კონიაკის, ბორდოს, ლუდის, ლიმონადის, კვარტები, მოოხ. ად ნახ. „ვერმორელი" საწყავი გოგირდის სიმჟავისათვის ბალონები და სელტერის სიფონები. მზადდება აგრეთვე მალამოსათვის, თაფლისათვის, მურაბისა და ელექტროს ელემენტებისათვის ქილები. ოდეკალონის ფლაკონები, ლამფის რეზერვუარები და ჰურჭელი.

ყოველგვარი შეკვეთა მიიღება თიბათვის 24-დან მიხეილის ქ. № 180. საზოგადოების კონტორა გაღებულია 9 საათიდან 3 საათამდე.

(1—2464—1)

ქ. თბილისის მეაფთიაქეთა საზოგადოება

აცხადებს, რომ ამ წლის თიბათვის 21-ს ისევ იწყება მორიგეობა ძველი წესით: ოტტენის აფთიაქი (სოლოლაკი), ნოვინსკის—(სასამართლოს ქ. № 22), ზელკინის (ოლღას ქ. № 35), პრისტაკოვის (ვორონცოვის ქ. № 10), გვანცელაძის (19 თებერვლის ქ. № 46), დედერერის და კოხის (ქსენიას და ელისაბედის ქ. კუთხე) ყასაბაშვილის (მიხეილის ქ. № 144).

1—2463—

ყველას საყურადღებოდ!

იყიდება ყოველ დღე ახალი ხორცი

ფასები: 1 ხარისხი—გირვ. 8 მან., 2 ხარისხი—გირვ. 7 მან. 50 კაპ. მიჰმართეთ ფილოსოვისა და ოლღას ქ. კუთხეში გოცირიძისა და მჟავანაძის ხორცის დუქანში. 2 2467—1

განცხადება

კახეთის რკინის გზის გურჯაანისა და მუკუზნის სადგურებზედ დაარსდა სატრანსპორტო საკომისიო კანტორები, სადაც მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ საქონლის მიღება და გაგზავნა დაუყოვნებლივ დანიშნულებისამებრ. კანტორა მასთანავე კისრულობს მსურველთათვის სხვა და სხვა ნაწარმოების ყიდვას და გასაღებას. მისამართი: გურჯაანი—ცოვალაშვილს, მუკუზანში—ჯანდიერიშვილს.

იბეჭდება:

თამუნა

წიგნი 1.

## საქართველო-აზერბაიჯანი

საქართველოს და აზერბაიჯანის პოლიტიკურ ცხოვრებაში 16 ივნისი ახალს დატას აღნიშნავს. ამ დღეს მეზობელ რესპუბლიკის მთავრობებმა ხელი მოაწერეს მნიშვნელოვანს შეთანხმებას—თავდაცვის კავშირს.

ეს ხელშეკრულობა დღეს საქართველოს დამფუძნებელ კრებას წარედგინება დასადასტურებლად.

ჩვენ არ ვეჭვობთ, რომ დამფუძნებელი კრება მას ერთსულოვნად დაამტკიცებს და მით ორი მეზობელი რესპუბლიკის ძალები გაერთიანდება საერთო თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად.

ასეთი შეთანხმება დღემდისაც არსებობდა. მაგრამ არა ფორმალური, ქაღალდზე დაწერილი შეთანხმება, არამედ ფაქტიური, ბუნებრივი ინტერესებისა და საერთო მიზნებისაგან გამომდინარე, ორ მეზობელ ერთა შორის საუკუნეთა მსვლელობაში აღბეჭდილ ნდობითა და სიყვარულით ნაკარნახევი

საქართველო არ იყო ვალდებული აზერბაიჯანს მიშველებოდა უკეთუ მის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას მტერი დაემუქრებოდა. ასეთი პირობა საქართველოს არ ჰქონდა დადებული თავის მეზობელთან. მაგრამ ამავე დროს საქართველო ვალდებული იყო თავის მეზობლის წინაშე აღძრულ მტრის მახვილისთვის თვისი ხმალი დაეპირდაპირებინა. ასეთი იყო ვალდებულობა, რომელიც ქართველ ერს მრავალ საუკუნოვან ისტორიით და დღევანდელი მისი არსებითი ინტერესებით იყო ნაბრძანევი. და ცხოვრების კარნახს ვერავინ გაექცევა. ამით აიხსნება, რომ საქართველოს რესპუბლიკის ნორჩი ლაშქარი თავ განწირულად იბრძოდა მუღანოს ველზე და სისხლს ღვრიდა, როდესაც აზერბაიჯანის თავისუფლებას მტერი პირველად დაემუქრა. დღეს აზერბაიჯანის საზღვრებზე ახალი ომი მზადდება და ალბად იქვე არავის შეეპარებოდა, რომ საქართველოს ლაშქარი ეხლაც ხმალს იშიშვლებდა მეზობელ რესპუბლიკის დასაცავად.

16 ივნისის ხელშეკრულობა არავის გააკვირვებს. ის უბრალოდ ქაღალდზე გადაღებაა იმის რაც იყო, რაც არის და რაც უნდა დარჩეს. საქართველო და აზერბაიჯანი შეთანხმებით უნდა იცავდენ თავის დამოუკიდებლობას, თავის თავისუფლებას ერთმანეთის თავისუფლება მათთვის საერთო ინტერესია და ამ თავისუფლების დაცვა საერთო საქმე.

წვრილმან ანგარიშებს, წვრილმან უთანხმოებას ადგილი აქვს ყოველთვის და ყოველგან. მაგრამ ასეთს საკითხებს რა მნიშვნელობა აქვს, როდესაც მეზობელ რესპუბლიკების ურთი-ერთობა შებოჭილია საერთო ინტერესებისა და მიზნების ჯაჭვების ქსელით

16 ივნისის ხელშეკრულობა ვერ ჰფარავს ორი მეზობელ რესპუბლიკის ყოველგვარ საერთო ინტერესებს ამიტომ, ჩვენ ვიმედოვნებთ რომ ამ ხელშეკრულობას მოჰყვება კიდევ ახალი შეთანხმებანი ამ ორ რესპუბლიკათა ცხოვრების სხვა და სხვა მხარეების შესახებ. მეზობელ რესპუბლიკათა თავისუფლებას ხიფათს უმზადებს არა მარტო ჩრდილოეთიდან მოვლენილი მტრის ლაშქრობა. თავისუფლების განსამტკიცებლად საჭიროა მრავალი ეკონომიურ-ფინანსიური ღონისძიება. საქართველო-აზერბაიჯანი აქაც შეთანხმებული იმუშავებენ, ჩვენ გვწამს, საერთო მიზნის მისაღწევად. ამ რიგად შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე უნდა გაიბას მტკიცე კავშირი და შეთანხმებული მუშაობა საერთო თავისუფლებისა და არსებობის დასაცავად. ამ ორ მეზობელ რესპუბლიკათა გარშემო შემოიკრიბება ყველა ის ძალები, რომელნიც დაინტერესებული იქნებიან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა თავისუფლების დაცვით.

ჩვენ გვწამს, რომ 16 ივნისის შეთანხმებას საქართველო და აზერბეიჯანი ერთსულოვანი კმაყოფილებით მიიღებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკანასკნელი ცნობები

ვენაში აჯანყება მოხდა, მაგრამ მთავრობამ ჩააქრო.

ბერლინში ხელახალი გაფიცვები დაიწყო.

ოლონეცის მიმართულებით ბოლშევიკები შეტევას განაგრძობენ.

უფის რაიონში ბოლშევიკებმა სამხრეთ-დასავლეთით არხანგელსკი დაიჭირა.

ფინეთის ბურჟუაზიული პრესა საბჭოთა რუსეთზე გალაშქრების წინაალმდეგი არის.

ბოლშევიკების ცნობით ბელგიაში მუშები გაიფიცენ.

## საგარეო მუშაობისთვის

ჩვენი დამფუძნებელი კრება და მთავრობის სავარძლები ისეთ ხალხს უჭირავს, რომელიც მთელის თავის წარსულით დაშორებულია გონების და ხასიათის კულტურას და მოკლებული აკადემიური აზროვნების შეძლება. ქუჩა იყო ამ ხალხის სამუშაო კაბინეტი და დემაგოგია—მისი მოღვაწეობა. ორი თვეობით არ ხდება პიროვნების გარდაქმნა, და ამ ხალხმაც საკანონმდებლო დაწესებულებაში, შემოსვლასთან ერთად, თან შემოიტანა ქუჩაც და დემაგოგიაც.

აზრის სიკოჭლე და სიტყვის უკულტურობა თვით ხასიათია დამფუძნებელი კრებისა და ვინაიდან დამფუძნებელი კრება იგივე სოციალ-დემოკრატიული ფრაქციაა, ამიტომ დამფ. კრების სურნელებაც ამ ფრაქციის ანადენია. საკმარისია საწინაალმდეგო სამი აზრი გამოითქვას, რომ ჯაჭვაწყვეტილის სიშმაგით და სიცოფით ტრიბუნაზე ერთი მეორეს მოჰყვეს; ფრაქციის სხვა და სხვა ამპლუას დეპუტატი და მინისტრი და გადმოუშვას იმდენი დემაგოგია და გათახსირება. რომ ადიდებულმა მტკვარმაც ვერ გადარეცხოს. მინისტრი ჰგავს პროპაგანდისტს და პროპაგანდისტი მინისტრის. მყარდება ლალი-გადასმული თანასწორობა.

ასეა ყოველთვის. ეს ჩვენი დამფ. კრების ნამდვილი და ბუნებრივი სახეა. თუ სდუმს, სდუმს, თუ არა და დემაგოგობს. კეთილშობილი და ამამაღლებელი, აქედან ვერა გამოვა-რა. ასეთია ის გემი, რომელზედაც ზის ჩვენი სამშობლო, ამ საბედისწერო ღელვის დროს. მხოლოდ ლოცვა და შემთხვევა თუ იქნება საქართველოს მფარველი...

სწორედ ასეთი ვაკხანალია დატრიალდა დამფ. კრებაში, როდესაც შევეხეთ ჩვენს საგარეო მუშაობას და კერძოდ პარიზში გაგზავნილ დელეგაციის ზოგიერთ ნაბიჯს. ის შენიშვნები, რომელიც მაშინ მართველ პარტიას მოხსენდა და რომელმაც მას ცოფი აყრევინა, დემაგოგიაში ჩაიმარხა და რასაკვირველია უყურადღებოთ დარჩა. ჩვენ გვინდა ამ საგანს გაზეთის ფურცლებზე დავუბრუნდეთ და საქართველოს საზოგადოებრივი აზრი მასზედ ხანგრძლივად შევაჩეროთ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოს ბედი, დღევანდელ სოციალ-პოლიტიკურ სინამდვილეში, სავსებით დამოკიდებულია იმაზედ, თუ რა ტაქტიკით და პრინციპით ვაწარმოებთ ჩვენს საგარეო მუშაობას.

პირველ ყოვლისა გამოსარკვევი და დასადგენიებელი ისაა, თუ ვინ უნდა იყოს ჩვენი საგარეო მუშაობის ობიექტი. შემდეგ იმისა, გამოსარკვევია თვით მეთოდი და პრინციპი ამ მუშაობის. პირველის გამოცნობა დღევანდელს მომენტში ძნელი არ უნდა იყოს იმისთვის, ვინც მარტო დოგმას არ დაჰყავს. დღეს-დღეობით ბრძოლის ველზე გამარჯვებული სდგას სამი დიდი ძლიერება: ინგლისი, ამერიკა და საფრანგეთი, შეერთებულია ამ სამი დიდი ქვეყნის სამხედრო ძალა, და საერთო პოლიტიკა. მდგომარეობის ბატონობა მათ ხელშია. ისინი სწყვეტენ ყველა იმ ხალხის ბედს, რომელნიც ომსა და რევოლუციაში მოჰყვნენ. არა სჩანს სხვა რეალური ძალა, სხვა მოწყობილი ორგანიზაცია, რომელიც იდგეს იმავ ქვეყნების ფარგლებში, სადაც ომი და რევოლიუცია ტრიალებდა და სწყვეტდეს ყველა იმ საკითხს, რომელიც ამ ომმა და რევოლუციამ წამოაყენა. ეს არის სიცხადე დაურღვეველი. მთელი საქართველო ამას ხედავს. ყველა დარწმუნებულია, რომ საქართველოს ბედი სავსებით ამ სახელმწიფოების ხელშია. უნდათ, დაგვიდგენენ დამოუკიდებლობას, გაგვამტკიცებენ; უნდათ, მოგვისპობენ და სხვას მიგვცემენ ხელში. თვით საქართველოში ამ კოალიციის სამხედრო ძალებია და აბა სხვა რომელიმე კოალიციის ჩვენი შინაური სიმტკიცე და მყუდროება საბოლოო ანგარიშში ამავე სახელმწიფოებზეა დამოკიდებული. უნდათ, აგვიმტუტებენ ყველაფერს, აგვიმხედრებენ შინაურ და გარეშე მტრებს, უნდათ—არა. ყველაფერი შეუძლიან დაგვმართონ. მამულიშვილურ მოვალეობას მოვიხდით, სიკვდილამდის გავებრძოლებით მათ ცდას, რომელიც ჩვენი დამოუკიდებლობის მოსპობისკენ იქნება მიმართული, მაგრამ სიკვდილის შემდეგ საქართველოს მაინც ისე დაიუფლებენ, როგორც უნდათ. მათ ძლიერებას ჩვენ ვერ დავსცემთ. ასეთ პირობებში ყველაფერი დამოკიდებულია იმაზედ, თუ ამ სახელმწიფოების შეგნებული პოლიტიკა და ინტერესი პრინციპიულ კონფლიქტში იმყოფება თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობასთან. ყველა იმ ცნობიდან, რომელიც მოგვივიდა, იმ განცხადებებიდან, რომელიც ამ სახელმწიფოთა ცენტრალური მთავრობების წარმომადგენლებმა გამოაქვეყნეს, და იმ მუდმივი საიმპერიო მისწრაფებისა და პოლიტიკის ვარაუდით, რომელიც ამ კოალიციის ერთ უდიდეს წევრს—ინგლისს ოდითვე ახასიათებდა რუსეთ ინდოეთის მიმართ, საბუთი გვაქვს დავასკვნათ, რომ საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა და ამ სახელმწიფოს რეალური ინტერესი ერთი-მეორეს პრინციპიულად არ ეწინაალმდეგება. თორემ მათ ხანგრძლივი ბოდიში არ უყვართ. ამის შეგნება ბევრ რამეს გვეუბნება და ბევრ რამეს გვავალებს.

უმთავრესად იმას, რომ ამგვარს პირობებში ამ სახელმწიფოსაგან ჩვენი დამოუკიდებლობის მიღების დამსახურება ჩვენი საკუთარი ღირსების, ჩვენი თავდაჭერის საქმეა, იმ ტაქტიკისა და იმ პრინციპის ფუნქცია, რომელსაც დაადგება მთელი საქართველო. აი სად უნდა გამოვიჩინოთ ცხოვრების მეცნიერება, ადამიანებისა და სახელმწიფოების ხასიათისა და ტემპერამენტის გამოცნობის ნიჭი და უნარი. თავი და ბოლო ამ სახელმწიფოებთა საქმის გარიგება, ჩვენი თავის გაცნობა, მათთან საერთო ენის გამოძებნა და საერთო მეთოდის გაზიარება, როგორც შინაურ ცლმშენებლობითს მუშაობაში, ისე საგარეო მუშაობაშიც. აუცილებელია ამგვარი სოციალ-პოლიტიკური მიმეტიზმი. თუ გვინდა უვნებელი გადავრჩეთ ამ მსოფლიო ქარტეხილს. ასეთია ის ერთად-ერთი გზა, რომელიც დარჩენია საქართველოს.

ჩვენი დელეგაციაც ამ მიზნით გაიგზავნა პარიზს იგი მკაცრად უნდა იცავდეს დავალებას და ინსტრუქციას. არავითარ ზიგ-ზაგს და მიხვეგ-მოხვევას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. თორემ შეიძლება საქმე წავაგოთ, იქნებ სამუდამოთაც!

ფაქტი მოვიყვანეთ იმისა,' რომ დელეგაციას არ დაუცავს ეს პრინციპი. ამ ფაქტში დავინახეთ დარღვევა იმ რეალური პოლიტიკის კონცეპციისა, რომელიც, დღევანდელი სინამდვილის მიხედვით, საქართველომ შეიმუშავა და დელეგაციას გაატანა სახელმძღვანელოთ. ამის უარყოფა ისევე შეუძლებელია, როგორც შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ ერთად ერთი რეალური ძალა და ერთად-ერთი მდგომარეობის ბატონი კოალიცია, ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის კოალიციაა. ჩვენ შეუწყნარებლად, მეტიც, საქმის ღალატად მიგვაჩნია, ჩვენი დელეგაციის ოფიციალური წევრის ბ-ნ წერეთლის მუშათა ინტერნაციონალთან ლაპარაკი და დემარშები. მუშათა ინტერნაციონალი დღეს ამფეთქებელია და მენალმე ამ კოალიციის და მასთან საქმის დაჭერა ეს ნიშნავს კლემანსო-ლოიდ-ჯორჯ-ვილსონის ამფეთქებელთა რიგში ჩადგომას. ეს არაა ჩვენი საქმე და ბ-ნი წერეთელი პარიზს ამისთვის არ გაგვიგზავნია. აქ ჩვენ არ ვხელმძღვანელობთ ჩვენის პრინციპიულის წინაალმდეგობით ინტერნაციონალის მეთოდისა და უტოპიის მიმართ. ჩვენ ვლაპარაკობთ მარტო საქართველოს რეალური ინტერესის თვალსაზრისით. და ეს თვალსაზრისი კი მოითხოვს რომ ოფიციალური საქართველოსკენ წარგზავნილი ოფიციალური დელეგაცია საერთო საქმეს არ იჭერდეს იმ კოალიციის მტრებთან, რომელთანაც მას მუშაობა აქვს დავალებული. ეს მარტივი საქმეა. და ვიდრე ჩვენი მოწინაალმდეგენი დემაგოგიას მიყოფდენ ხელს, კეთილ ინებონ და დაგვიმტკიცონ რომ ეს ასე არ უნდა იყოს.

მეორე მხრით, ჩვენ დაინტერესებული ვართ, მომხრენი გავაჩინოთ საზოგადოების ყველა წრეში. მტრებს ყოველგან მეგობრები გვირჩევნიან. ამ მიზნით დიახაც საჭიროა საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესებზე ჩვენი საკითხის გატანა და პროპაგანდა. ეს არის საქართველოს სოც.-დემოკრატიულ პარტიის საქმე; ამ ასპარეზზე პარტიის მანდატით პარტიის წევრი უნდა მუშაობდეს და არა საქართ. რესპუბლიკის ოფიციალური დელეგაცია. თუ წერეთელი აქ უფრო გამოდგება, მაშინ დელეგაციას უნდა განშორდეს. მაგრამ თუ ერთგვარ დადებით ღირებულებას ვერ წავართმევთ ამგვარ მუშაობას და არც იმ რეზოლიუციას, რომელიც ბერნმა და ამსტერდამმა მიიღო საქართველოს საკითხის შესახებ, მეორე მხრით დიდი პოლიტიკური ბავშვობა იქნებოდა ჩვენი პოლიტიკური „სტავკა" ამ ინტერნაციონალზე დავამყაროთ, როგორც ამას შვრებიან ჩვენი გამოუსწორებელი სოციალისტები. ამ უაზრო გადაჭარბებისგან, ამ უნიადაგო გატაცებისაგან გვინდა ვიხსნათ ჩვენი სამშობლო. დღევანდელს პირობებში ბევრი მხოლოდ უბრალო აქსესუარია, ჩვენი ქვეყნის საკითხს ის ვერ გადასჭრის. ყოველი საგანი თვის სიგრძესიგანით უნდა დავინახოთ. ჩვენს მართველ პარტიაში და მთავრობაში ამ სიცხადეს ვერ ხედავენ. იმიტომ რომ მკვდარი დოგმით სცხოვრობენ. აბერაციაა ხედვის, აბერაციაა გონების. სინამდვილის ადგილს იქ ზმანება იჭერს, ხოლო არგუმენტებითა და ანალიზით ბრძოლის ადგილს ქუჩა და დემაგოგია. ამიტომაც ჰგონიათ, რომ პარიზის ადგილი ბერნს უჭირავს და კლემანსოსი ალბერ ტომას; თავიანთ „რეალურ პოლიტიკასაც" ამ ზმანებას უფარდებენ!!

ლოცვა და შემთხვევა თუ იქნება საქართველოს მფარველი,—აი რაზე მიდგა საქმე ბრძენთა ხელში!

## მოღალატენი

საქართველოს დამოუკიდებლობის მტრები დღითი-დღე მოსვენებას ჰკარგავენ. ხან ერთი მხრიდან გვივლიან, ხან მეორე მხრიდანვე და ამავე დროს ცდილობენ შიგნით მოიპოვონ მომხრენი. ასეთ არაჩვეულებრივ დროს, გასაკვირვი არაა, ორიოდე კაცი აღმოჩნდეს სამშობლოს გამყიდველი, თავისი მშობლიურ ერის სისხლის მსმელი. მაგრამ სამწუხაროა, როცა ჩვენ ჯეროვან ყურადღებას არ ვაქცევთ ასეთ პირებს და დროზე შესაფერ ზომებს არ ვღებულობთ. ხანდისხან დროზე მიღებული ზომა ერთი-ორი გამყიდველის წინაალმდეგ დიდ უბედურებას აგვაცდენს თავიდან. ბათომში გაჩნდა ვილაცა ნათიშვილი, კაცი სამშობლოს გამყიდველი, მოღალატე, მტერი ჩვენი თავისუფლებისა. ის დენიკინის ფულით მძიმედ დატვირთული მზავსს მოღალატეებს ეძებს. ამბობენ, დენიკინის ჯარში მოიპოვებიან ქართველი აფიცრებიო გაზეთი გადმოგვცემს, ბათომში ნათიშვილის რაზმში ჩაეწერა „რამდენიმე მოღალატე ქართველიც: ვილაც აფიცრები დადიანი, ახვლედიანი და სხვა". თუ შებრალება და პატიება ხშირად სახელმწიფოებრივ სიბრძნის მაჩვენებელია, მოღალატის დანდობა განსაკუთრებით ისეთ გაჭირვებულ დროს, როგორიც დღეს ჩვენშია, უდიდესი დანაშაულობა იქნებოდა ჩვენი თავისუფლების წინაშე. ლაპარაკი არ უნდა, ჩვენში დღეს არა ერთი ოჯახია თავშემოფარებული დენინკის აფიცრებისა. დენინკინიც ერთს თავის განკარგულებაში წინადადებას აძლევს თავის წარმომადგენელს იმ აფიცერთა ოჯახებს, რომელნიც ჩვენში დარჩენილან ან ეხლა შემოხიზნულან, ჯამაგირები წესიერად აძლიეთო. მრავლად დარჩენილი ჩვენში დენინკინის სამსახურში მყოფ აფიცერთა ნათესავები თუ იარაღით ხელში არ გვებრძვიან, სამაგიეროდ განაგრძობენ, შეიძლება, უფრო საფრთხილო ბრძოლას იწევიან ხალხში პროპაგანდას, სთესენ ათასგვარ ჭორს და ამით ხალხს აღელვებენ და გულს უტეხენ. საჭიროა ეს ოჯახები მოიძებნოს და გაძევებულ იქმნას ჩვენი საზღვრებიდან. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოღალატე ქართველებს. ვინაა ეს ნათიშვილი, რომელიც კრებზე მოგვდგომია და ჩვენ დასაქლავ დანას ლესავს ან ვინაა ის „ვილაცა აფიცრები დადიანი, ახვლედიანი და სხვები?" რა სახელი ქვიან მათ, რომელ სოფლიდან არიან? რას აკეთებდენ წინად? ან რას ფიქრობს მათი ნათესაობა? საჭიროა, რაც შეიძლება, მოღალატეთა პიროვნება გამოაშკარავდეს, საჭიროა ყოველი ზომა მათ წინაალმდეგ იქმნას მიღებული. საჭიროა ნათესავებმა და ახლობლებმაც იცოდენ, რომ მათი ოჯახის შვილი ქართველი ერის მოღალატეა და ეს მათთაც ჩირქს სცხებს. ერთი სიტყვით, დროზე უსასტიკესი ზომები მოღალატეთა წინაალმდეგ, მათი უკულმართობას სახალხოთ გამომჟღავნება. ამით ჩვენ ავიცდენთ მოღალატეთა გამრავლებას და შესაფერ სასჯელსაც მივაკუთვნებთ იმ საზიზღარ პიროვნებათაც.

**პ. სურგულაძე.**

## საქართველო და რუსეთი

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ერის აზრი სავსებით და გარკვევით ჩამოყალიბებულია თავისი ეროვნულ-პოლიტიკურ და სოციალ-ეკონომიურ მომავლისადმი და იგი თავგანწირულად იბრძვის დამოუკიდებელ არსებობისათვის, მაინც ერთნაირი, სრულიად გაუგებარი მეტამორფოზა იჩენს ხოლმე ხშირად თავს, მაგრამ არა თვით ერის წიაღში, არამედ, მის წარმომადგენელთა ბანაკში, განსაკუთრებით კი ქართულ თუ საქართველოს პრესაში.

ქართველმა ხალხმა ბრძოლით, სისხლით აღადგინა დაკარგული ისტორიული და რეალური უფლებები. ამ ბრძოლის პროცესში უთუოდ უნდა გაიხაზოს ის მომენტი, რომ (შეიძლება ეროვნულის ინსტიქტითაც, მაგრამ მაინც კანონიერად) ჩვენთვის ომიც, რევოლიუციაც, დემოკრატიზმიც სწორედ იმისათვის იყო საჭირო, რომ დამოუკიდებელ არსებობას დავბრუნებოდით. ამა თუ იმ ხერხით, ჩვენ ეს შევძლეთ და ქართველი ხალხის ჰამიად უნდა იქმნეს დასახული ის პიროვნება, თუ საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელიც, მიუხედავად ყოველნაირ შესაძლებელ პირობებისა, არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას ან შეტრიალებას დაუპირებს, ან და სხვა რაიმე მოსაზრებებით, გარეშე ეროვნული მისწრაფებისა, გაამართლებს.

საუკუნეთა მსვლელობაში ასე ყოფილა, არის დღესაც და ასე იქნება მარადაც. ყველა ერს, ყოველ სახელმწიფოს, იმდენად აფასებენ, იმდენად უწევენ ანგარიშს, იმდენად აძლევენ საშუალებას თვისი უფლებები აღადგინოს და დაიმკვიდროს რამდენადაც იგი თვის ეროვნულ სახელმწიფოებრივ უფლებებს ილონდაც რომ ძიძაობასაც გაუწევს და ფეტიშათაც დაისახავს, რამდენათაც ის ამ უფლებისათვის არც ზნეობრივ-გონებრივსა და არც ქონებრივ-ფიზიკურ საბადებელს დაზოგავს.

ერთს წუთსაც ვერავინ გაბედავს იფიქროს, რომ ქართველ ერს, როგორც ასეთს, რაიმე ასეთი დამზოგავობა გამოეჩინოს, ხოლო თუ ევროპის გავლენიანი წრეების მიერ მოქმედება საქართველოსადმი მაინც არ ამართლებს ჩვენს შეხედულებას, ამის მიზეზი ყველგან შეიძლება ვეძიოთ და არას შემთხვევაში ქართველი ხალხის მოქმედებაში, ან მის უნარში, მართოს თავისი საკუთარი თავი.

ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ისეთი სახელმწიფო მოღვაწე ევროპაში, რომელსაც მუდამ ჟამს ესმოდეს ქართველი ხალხის წარმომადგენელთა მიერ დახაზული ბუნდოვანი სახეები საქართველოსა და რუსეთს შორის დამოკიდებულებისა და ამავე დროს მას სჯეროდეს, ან გულწრფელად იღებდეს ჩვენს განცხადებებს: ყველაფერს შევსწირავთ საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობისათვისო. ქართულად ნათქვამია: ფიცი მწამს და ბოლო მაკვირებსო.

განა უთქვამსთ სადმე ჯერ ქართველი ერის წარმომადგენელთ, — რომ ქართველმა ხალხმა სამუდამოდ, ყოველგვარი კავშირი გასწყვიტა რუსეთთან ერთსა და იმავე სახელმწიფოებრივ საზღვრებში?

განუცხადებიათ თუ არა მათ, ჯერ ვინმესათვის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ქართველი ხალხი შეებრძოლება ყველას, ყოველ სახოვან რუსეთს, არა მარტო დენიკინკოლჩაკისას, არა მარტო ანარქო სინდიკალისტურ-ბოლშევიკურს, არამედ იგი შეებრძოლება თუნდაც სამოთხისებურად მოწყობილს, მენშევიკების განკარგულებაში მყოფ რუსეთსაც? არა, ეს არავის არა სმენია, არც რუსეთისა და არც ევროპის მმართველ და საზოგადოებრივ აზროვნებას. მათ სულ სხვას ჩასჩიჩინებენ საქართველოს სუვერენიტეტის მტრები და ამასვე ჩასჩიჩინებს მათ ქართული და საქართველოს პრესაც, ჩვენი მმართველი პარტიაც, ამასვე გაიძახიან პაწია პარტიებიც და ამავე აზრს ადასტურებს ჩვენი მთავრობაც თვისი დუმილით.

სანამ საქვეყნოდ, ევროპას, რუსეთს, ჩვენს მეზობლებს და თვით ჩვენ ხალხსაც ბეჯითად არ ეთქმის, რომ ჩვენთვის ყველანაირი რუსეთი მიუღებელია, რომ ჩვენ ყველანაირ რუსეთთან ვიბრძოლებთ, უკეთუ იგი ჩვენი სუვერენობის შელახვას მოინდომებს, მანამდე არ დაიჯერებს სახელმწიფოებრივ მუშაობაში გამობრძმედილი ევროპა და კერძოდ ანტანტი, რომ ჩვენი დამოუკიდებლობისადმი სწრაფვა გარდამავალი არ არის და მარადიულია. ამას არც რუსეთი დაიჯერებს და ეს ფაქტი მათ დიდს საბუთს აძლევს როგორც თვისის ხალხის, აგრეთვე საზავო კონგრესის წინაშეც, იბრძოლონ საქართველოს წინაალმდეგ. ეს ფაქტი რუსეთს არა მარტო საერთაშორისო, არამედ ზნეობრივ და რეალურ ძალებსაც ჰმატებს და ამართლებს კაცობრიობის თვალში.

ერთხელაც არის ხომ უნდა ბოლო მოეღოს ასეთს უპრინციპობას და მერყევი პოლიტიკა შეიცვალოს ნამდვილი, მტკიცე და მართალის პოლიტიკით? ნუ თუ მართლა ჰგონია ვისმე, რომ სამსახურს უწევს ქართველ ხალხს იმით, რომ მისი აზრი—რუსეთისაგან საქართველოს სამუდამოდ გამოყოფა—მართლად არა აქვს დასახული ევროპას და სრულიად შეტრიალებული და დამახინჯებულია? სად, როდის და ვის გაუგონია სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ასეთი წაჯექ-უკუჯექობა? ან რა უნდა უწოდოს ქართველმა ხალხმა თვისი ისტორიული და თანდროული უფლებების ასე დაფარვას: წინასწარი განზრახვა თუ შეუგნებელი გაუგებრობა?

ამიტომ, ჩვენის აზრით, დიდს სამსახურს გაუწევს ჩვენი დ მთავრობა სოც.-დემოკრატიული პარტია ქართველ ხალხს არა იმით, რომ ბუნდოვანად დაუსახოს ევროპას ქართველი ერის აზრი რუსეთთან დამოკიდებულების შესახებ, არამედ იმით, რომ ჩვენს საზღვრებსაც, ევროპასაც და რუსეთსაც ნათლად ჩააწვეთოს ქართველი ერის ის აზრი, რომ მომავალში საუკუნეთა მსვლელობაში საქართველოსა და რუსეთს შორის (რა გინდ ბუმბერაზი არ იყოს იგი), იქნება მხოლოდ დიპლომატიური ურთიერთობა: ჩვენი ელჩი მოსკოვში და პეტერბურგში, ხოლო რუსეთის ელჩი თბილისში.

თუ ქართველი ხალხის ამ კათეგორიულ გადაწყვეტილებას ჩვენ დაუკეტეთ ვერსალისა და მოსკოვ-პეტერბურგის კარებიც, ჩვენ რუსეთისა და ევროპისათვისაც მხოლოდ ისეთ ერად დავრჩებით, როგორიც ჰსურთ გვიხილონ სომხებმა.

**ი. ხანანაშვილი.**

## იოსებ მაჭავარიანის სიტყვა.

**თქმული დამფუძნებელ კრებაზე 17 თიბათვის სხდომაზე.**

(სტენოგრამა)

დამფუძნებელ კრების წევრნო, ჩვენ ისეთ საფრთხის წინაშე ვდგევართ, რომ მთელმა ერმა უნდა დაიკრიფოს მთელი თავისი ენერგია, დასჭიმოს მთელი თავისი ძარღვები, მოახდინოს მობილიზაცია მთელ თავის სულიერ, ქონებრივ და გონებრივი ძალებისა და ამრიგად დარაზმული თავისუფლების და ეროვნულ ღირსების დასაცავად მთავრობას უნდა მხარში ამოუდგეს. ასეთ მომენტში ცივ გონებას და ანთებულ პატრიოტიზმით გამოწვეულ ენტუზიაზმს უნდა ჰქონდეს ადგილი. ზედმეტი აღელვება მხოლოდ ჩრდილს აყენებს გონებას და დამარცხების უფსკრულისკენ იზიდავს მებრძოლს. და არც საჭირო იყო დღეს აქ ისეთი აღელვება, რომლის მოწამენიც ჩვენ გავხდით. მეტად ვწუხვარ, რომ ამ დიდმნიშვნელოვანმა საკითხმა და მთავრობის პოლიტიკის კრიტიკამ ასეთი პარტიული უადგილო კინკლაობა გამოიწვია. ახლა დრო არ არის პარტიულ ანგარიშებისა. მე არ გამოვიდოდი დღეს.

(ხმა: გვაზავა რომ არ გამოსულიყო) რომ მთავრობის წარმომადგენელს არ ენება და თავის სიტყვაში ესოდენ უსაფუძლოდ ორჯელ არ მომწვდენოდა პირადათ მე. მე ხომ არ გამილაშქრია არც მთავრობის, არც რომელიმე პარტიის წინაალმდეგ? მხოლოდ, თუ ჩემმა რეპლიკამ ასე აამხედრა მთავრობის წარმომადგენელი ჩემ წინაალმდეგ, თუ ზევსი ცსოდენ ჯავრობს, სჩანს ის მტყუანია, ყოველ შემთხვევაში პარნასზე ყველაფერი ისე არ არის, როგორც უნდა იყოს. რა ვსთქვი ბოლოს და ბოლოს ჩემს რეპლიკაში? ვსთქვი, ბათომის დაკარგვისათვის ბევრს უნდა ეგო პასუხი აქამდის და ბევრია გასარეკი. გაბაშვილი იქნებოდა ეს, თუ „შვიდთა საბჭო", მდივანი თუ მთავრობა, სულ ერთია: დამნაშავეს სასტიკი პასუხი უნდა ეგო და დამნაშავენი რომ ვართ ბათომის დაკარგვაში, ეს ცხადათ სჩანს თვით ჩხენკელის მოხსენებიდან, რომელიც მან წარუდგინა ეროვნულ საბჭოს ტრაპიზონდიდან დაბრუნებისთანავე. ჩხენკელმა სთქვა მაშინ „ჩვენ რომ დამოუკიდებლობა დროზე გამოგვეცხადებინა" ჰქუით რომ ვყოფილიყავით იმდენი, რომ გვემუშავა საქართველოსათვის, რამდენიც სომხებისათვის, ბათომს არ დავკარგავდითო". ეს ჩხენკელის სიტყვებია. ვილაცამ, ბ-ნო საგარეო საქმეთა მინისტრო, უნდა აგოს პასუხი ამ დაკარგვისათვის ერის წინაშე? მიუდგომელი ისტორია გაგვასამართლებს და გამოუტანს დამნაშავეს თავის მსჯავრს. ეხლა კი არ არის დრო, რომ ამაზე მეტი ვილაპარაკოთ და ანგარიშები მოვთხოვოთ ერთმანეთს. რაც შეეხება ბ-ნ გეგეჭკორის განცხადებას, რომ მაჭავარიანმა ისეთი რამ გვირჩია, ყველაფერი დაგვეღუპებოდა იმისთვის რომ დაგვეჯერებინაო, უნდა მოგახსენოთ, მაჭავარიანისთვის რომ დაგეჯერებინათ, ჩხენკელის სიტყვის არ იყოს, ბათომს არ დავკარგავდით. ეს მეორედ მესმის საგარეო საქმეთა მინისტრისაგან, მაჭავარიანმა რაღაცა სთქვაო. რა? არ ვიცით, რაზედ ლაპარაკობს ბ-ნი მინისტრი, ხოლო კატეგორიულად ვაცხადებ, რომ მე არც არასოდეს მითქვამს, არც დამიწერია არაფერი ისეთი, რაც ჩვენს ერს არ გამოადგებოდა. თუ ბ-ნი გეგეჭკორი გულისხმობს იმ ჯგუფს რომელიც მუშაობდა ვითომდა სტამბოლში (ხმა: ვითომდაც?), მე უნდა განვაცხადო, რომ ამის შესახებ ჩვენმა პარტიამ იმდენი იცის, რამდენიც თქვენ. ბ-ნ გვაზავას განცხადება ადგილიდან ეს ჯგუფი ჩამოგვშორდაო, სტამბოლის ჯგუფს არ გულისხმობდა. ეს იქნებოდა შეცდომა და სამართლის დამახინჯება. იმ ჯგუფს რომელიც მოქმედობდა სტამბოლში სრულებით არავითარი კავშირი ჩვენ პარტიასთან არასოდეს არ ჰქონია. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას ჩამოშორდა მხოლოდ ის ჯგუფი, „კლდის" სახელით რომ მოინათლა. ამ „კლდემ" მხოლოდ შემდეგ შეითვისა ერთი წარმომადგენელი სტამბოლის ჯგუფის და დაბეჭდა რაღაც უცნაური წერილი. მაგრამ ეს უფრო, გარწმუნებთ, იმდენად შორს არის ჩვენგან, რამდენადაც ლენინია თქვენზე დაშორებული. ეს კარგად იცის გარეშე საქმეთა მინისტრმა, მაგრამ მთავრობის წარმომადგენელი მაინც ცდილობს, რომ მოგვახვიოს ჩვენ თავს ისეთი პოლიტიკა, რომელიც დაღუპავდა ქართველ ერს. ეს ტყუილი ცდა არის. ბ-ნი გეგეჭკორი ამ ბოლო დროს ხშირად ლაპარაკობს ბრესტზე. ის კი ავიწყდება, რომ თუ ბრესტში მონაწილეობას იღებდა ან პოლონეთი, ან ფინლიანდია, ამით არც ერთს მათგანს არაფერი დაშავებია. ბრესტის ზავში მონაწილეობის მიღებისათვის ვერც ამერიკა, ვერც ინგლისი თავისუფლებას ვერ მოაკლებს ვერც პოლონეთს, ვერც ფინლიანდიას. ბ-ნ შინაგან საქმეთა მინისტრს ეს უნდა ესმოდეს. მაგრამ თქვენ გსურთ თავიც გაიმართლოთ და თქვენი მოპირდაპირე პარტიაც ვილაცის თვალში დაამციროთ. მაგრამ ამაოდ. სიმართლე მაინც თავისას ლაღადებს; იმ მომენტში, როდესაც ძლევამოსილი გერმანია შემოდიოდა ამიერ-კავკასიაში, ქართველ ერისათვის არ არსებობდა არავითარი სხვა გზა. ოსმალეთი გვიქადდა წალეკას. და იმ პარტიის პოლიტიკა, რომელმაც მოიყვანა ფონ-კრესი და გერმანეთის ჯარი გამოიყენა ფარად საქართველოსათვის ოსმალეთის წინაალმდეგ მხოლოდ მადლობის ღირსი უნდა იყოს, ვინაიდან ამით გადავარჩინეთ ქართველი ერი ოსმალოებთა წალეკისა და განადგურებისაგან. ინგლისის ხმალი მაშინ შორს იყო, გერმანელების ფოლადი აქ. და განა უფლება აქვს ან ინგლისს, ან ამერიკას, ან საფრანგეთს უსაყვედუროს ქართველ ერს იმისათვის, რომ მან მიიღო საჭირო ზომები თავის ფიზიკურ არსებობის დასაცავად? რასაკვირველია არა.

ერის სიცოცხლის უფლების წართმევის ნება არავის არა აქვს, და ჩვენ უნდა მივეელო სწორედ ის ზომები, რომელთა საშუალებით გადავარჩენდით ჩვენს ქვეყანას აკლებისაგან და მოვაწესრიგებდით ჩვენს სახელმწიფო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრივ ცხოვრებას. რაც შეეხება იმას, თუ რომელ პარტიის პოლიტიკა უფრო სწორი გამოდგა, უნდა მოგახსენოთ, რომ სოციალ-დემოკრატია ხშირად მოქმედებს ჩვენი პროგრამის მიხედვით, და, თუ რამე კარგი კეთდება, კეთდება მაშინ, როდესაც მენშევური პარტია მიდის იმ გზით, რომელიც ჩვენ ადრე გვიჩვენებია. აქედან ცხადია, ვისი პოლიტიკაა სალი და სწორი. თქვენი შეცდომების ჩამოთვლას მე დღეს არ შევუდგები. მაგრამ არ შემიძლია დღევანდელ დღეს არ გავიხსენო ერთი მომენტი ჩვენი პარლამენტის ცხოვრებიდან. იმ დროს, როდესაც აქედან ლაპარაკობდა დაშნაკელის წარმომადგენელი, ზორიანი თუ დავითხანიანცი, კარგად არ მახსოვს, მან სთქვა, „როდესაც დენიკინი საქართველოს წინააღმდეგ გამოილაშქრებს, ჩვენ სომხები ჩვენი მკერდით დავიცავთ საქართველოს დენიკინისაგანაო, ხ თქვენ კი ეროვნულ დემოკრატები დენიკინს მხარს დაუჭერთო“. როდესაც მან ეს ცინიკური ცილისწამება გვესროლა ჩვენ ამ ტრიბუნიდან, თქვენ და მთავრობამ, თანხმობის ნიშნად, მხურვალე ტაშის-ცემით დააჯილდოვეთ ეს სომეხი ორატორი. თქვენ გჯეროდათ მისი. თქვენ იმ ტაშით გინდოდათ ხალხი დაგერწმუნებინათ, რომ ჩვენ ეროვნულ-დემოკრატები სამშობლოს ვუღალატებდით, სომხები კი საქართველოს დაიცავდნენ დენიკინისაგან თავის დაშნაკური მკერდით. ეს იყო და ასეთია თქვენი პოლიტიკა. დიდი ანგარიშები გვაქვს ერთმანეთთან, ბევრი გვაქვს სალაპარაკო, მაგრამ ეხლა დრო არ არის. დღეს მე მოვითხოვ, რომ დამფუძნებელი კრება შეხვდეს აღძრულ საკითხს ისე, როგორც შეეფერება კრების უდიდებულესობას და როგორც მოითხოვს ამას სახელმწიფოს საჭიროება, დამშვიდებით, აუღელვებლად უნდა მივიღოთ თავდაცვის ჩაკირული ზომები. შეერთებული ძალებით უნდა დავხვდეთ საქართველოზე მოსეულ მტერს და გავსცეთ ისეთი პასუხი, როგორსაც მოითხოვს საქართველოს ერის სასიცოცხლო ინტერესი. საჭიროა, რომ გაიგონ ჩვენმა შინაურმა და გარეშე მტრებმა, რომ ქართველი ერი გაერთიანებულია თავის მასაში, როგორც ერთი კაცი. ის დგას თავის მთავრობის გვერდში და თავისუფლებიდან ერთი იოტის ოდენა მანძილსაც კოცხალი არ დაუთმობს არავითარ ძალას, რა სახითაც არ უნდა მოგვევლინოს იგი, საქართველო ვერ დაუთმობს ვერავის თავის სამკვიდრო ნაწილს. ბათომში, სოჭის და სხვა ფრონტებზე ჩვენ უნდა ავკვეთოთ მტერთა ბოროტი განზრახვანი და შევაჩეროთ მათი მოქმედება. შემოხიზნულ მტრებისაგან უნდა გავსწმინდოთ დაუყონებლივ საქართველო და უპირველეს ყოვლისა ჩვენი დედა ქალაქი. ამ დიად საქმეში, ბ-ნო მთავრობის წარმომადგენელო მთელი ქართველი ერი, გასალკდევებული და ერთი მისწრაფებით შედუღებული თქვენთან იქნება. არა ერთხელ დაგვიმტკიცებია და დაგიმტკიცებთ კიდევაც, რომ არასოდეს არ ვცდებოდით ჩვენს პოლიტიკაში, და თუ თქვენ გაწევთ კისერზე ესა თუ ის შეცდომანი, ეს მხოლოდ თქვენი პოლიტიკის ბრალია და არა ჩვენი პარტიის პოლიტიკისა.

## მესხეთ-ჯავახეთის დღე

ქართველმა საზოგადოებამ იცის მესხეთ-ჯავახეთის მცხოვრებთა მძიმე მდგომარეობა.

შიმშილი, აწიოკება, მრავალი ხნობით დაგროვილი დოვლათის განადგურება — აი რა მოუტანა გასულმა წელმა მესხეთ-ჯავახეთის მცხოვრებთ.

ყველა სხვა ლტოლვილთა შორის მესხეთ-ჯავახეთის მცხოვრებნი განსაკუთრებით ცუდ პირობებში იმყოფებიან.

ამ რამოდენიმე თვის წინათ თბილისში დაარსდა მესხეთ-ჯავახეთის მცხოვრებთა დამხმარე კომიტეტი და ამ კომიტეტის ენერგიული მუშაობით, თვალსაჩინო მატერიალური და მორალური დახმარება აღმოეჩინა ამ მხარის დაზარალებულ მცხოვრებთ.

დღეს ამ კომიტეტის თაოსნობით ქართულ კლუბში იმართება დიდი სეირნობა და ქართველი საზოგადოების მოვალეობაა მოვიდეს ამ დღეს იქ და თავისი ვალი მოიხადოს თავის მოძმე მესხ-ჯავახელთა ნაწილში.

## ქრონიკა

✦ **დამფუძნებელ კრების საგანგებო სხდომა** დღეს, 22 ივნისს, დილის 12 საათზე დანიშნულია საქართ. დამფუძნებელი კრების საგანგებო და ჩვენი სხდომა, რომელზედაც განიხილავენ საქართველო-აზერბაიჯანის შორის დადებულ სამხედრო ხელშეკრულობას.

✦ **ხელოვნების კომისიის სხდომა** ორშაბათს, 23 ივნისს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიის კრება.

✦ **გვარდიელის მოკვლა** 20 ივნისს, საღამოს, სადგურის ახლო რკინის-გზის ლიანდაგზე ინგლისელმა ჯარის კაცმა მოკლა სახალხო გვარდიელი. ბურჭულაძე. მიზეზი გამოურკვეველია მკვლელი დატუსაღეს.

✦ **საეჭვო პირების დაპატიმრება** შაბათს 21 ივნის შუადღის 12 საათზე, მილიციის უფროსის სულაქველიძისა და სისხლის სამართლის მილიციის უფროსის ფაჩულიას. მეთაურობით ალყა შემოარტყეს თავისუფლების მოედანს და დაიჭირეს 200 საეჭვო პირი და სპეკულიანტი. დაპერილები დროებით მილიციის სამმართველოს ეზოში დაამწყვდიეს აქ სწარმოებს მათი ვინაობის შემოწმობა

✦ **ქაღალდი ბონებისათვის.** როგორც გადმოგვცემენ თბილისში ბონებისათვის საჭირო ქაღალდი გამოლეულა, ქაღალდის შესაძენად მთავრობას თავისი წარმომადგენელი გაუგზავნია სტამბოლში.

✦ **შაშიაბანი.** კოოპერატივთა კავშირს ინგლისიდან დიდძალი შაშიაბანი მოუვიდა, რის გამოც ბაზარზე შაშიაბანის ფასმა ძლიერ დაიკლო.

✦ **ავტომობილების ჩქარი სიარულის შესახებ.** თბილისის ქალაქის მოურავმა მილიციის უფროსს შემდეგი განკარგულება გაუგზავნა: ავტომობილები თბილისში საშინელის სისწრაფით დაიარებიან. ასეთი სწრაფი მათი სიარული საფრთხეს წარმოადგენს მოსიარულეთათვის. ხშირად არის შემთხვევები გაჭყლეტისა, დასახიჩრებისა. დაშავებისა და სხვა. ამის ასაცილებლად წინადადებას გაძლევთ მოახდინოთ განკარგულება, რომ ავტომობილები ნელა დადიოდნენ და არა უმეტეს ხუთი ვერსისა საათში. ამასთანავე ავტომობილებს, ეტლებს ფურგუნებს და სხვათ უნდა ეეკრძალოთ არეულ-დარეული სიარული და ყველა ერთის მიმართულებით მიმავალი ზედ მჯდომის მარჯვენა მხარეს უნდა მიდიოდეს და არას გზით ქუჩის მარცხენა მხარეს არ გადავიდეს. ამის თვალყურის დევნება უნდა დაევალოს მილიციონერებს და ხსენებულ წესის დამრღვევთ შეუდგინონ ხოლმე სათანადო ოქმები და წარმოგიდგინონ თქვენ დამნაშავეთა ადმინისტრატიულ წესით დასასჯელათ.

### სახალხო განათლების სამინისტროში

✦ **საბავშვო ბაღი.** ანნა ლაზარესახულმა სემიონოვისამ განათლების სამინისტროს შუამდგომლობით მიმართა, რათა მას ნება მიეცეს თავისი სასწავლებელი, რომელიც უკვე ოცი წელიწადია რაც არსებობს, საბავშვო ბაღად გადააკეთოს.

✦ **სტუდენტ-ფილოლოგების თხოვნა.** ქუთაისში მცხოვრებმა რუსეთის სხვა და სხვა უნივერსიტეტში საისტორიო საფილოლოგიო ფაკულტეტის უკანასკნელ კურსის სტუდენტებმა, რომელსაც პოლიტიკურ სიტუაციის გამო არავითარი საშუალება არა აქვთ კვლავად გაემგზავრონ რუსეთში სწავლის დასამთავრებლად, თავი მოიყარეს ქ. ქუთაისში, მოაწყეს რამოდენიმე საზოგადო კრება და შემდეგ დაადგინეს, მიმართონ სახალხო განათლების სამინისტროს, რათა მათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ნება მიეცეთ ჩააბარონ ეგრედწოდებული „სახელმწიფო გამოცდები“ მხოლოდ იმ პროგრამა—მინიმუმით, რომელსაც ეს სტუდენტობა, თუ საჭირო იქნება, ადგილობრივ პროფესორებთან შეთა ხმებით შეიმუშავებს. ეს უკანასკნელი პირობა სტუდენტ-ფილოლოგებს იმ მოსაზრებით შეუტანიათ, რომ შესაძლებელია ქართულ უნივერსიტეტში სახელმწიფო საგნების ქართულ ენაზე ჩაბარება გაძნელდეს. ქართულის ეხლა ზედმიწევნით შეთვისება კი ფიზიკურად შეუძლებელ საქმეს წარმოადგენსო.

აქვე მოვაგონებთ ჩვენ მკითხველებს, რომ მთავრობის დადგენილებისამებრ ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტთან უკვე დაარსებულია სამი სახელმწიფო გამომცდელი კომისია: საისტორიო-საფილოლოგიო, სამათემატიკო და საპრავიზორო.

✦ **მერვე გიმნაზიის თხოვნა.** თბილისის მერვე გიმნაზიის (ყოფილ სასულიერო სემინარიის) ადმინისტრაცია შუამდგომლობს განათლების სამინისტროს წინაშე, რათა მისი საჭიროებისათვის მიეცეს შენობა. ამ სასწავლებელს აქვს მეტად ყურადსაღები და ჩვენი პოლიტიკურ კულტურულ ისტორიისათვის მდიდარ მასალას შეიცავს და ამისა არა ნაკლებ მდიდარი წიგნთსაცავი. ბიბლიოთეკაში მრავლად მოიპოვება როგორც ძვირფასი ხელთაწერები, აგრეთვე იშვიათი ძველი გამოცემანი. ამ არქივისა და წიგნთსაცავისათვის თბილისის ვაჟთა მერვე გიმნაზიას სჭირდება ათ ოთახამდე.

✦ **კონს. დოდაშვილის სამეცნიერო მოგზაურობა.** ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობა აცნობებს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს, რომ ორივე დაწესებულება შესაძლებლად სცნობენ ბ-ნ კონსტანტინე დოდაშვილის თხოვნას, ათ მილიონიან ფონდიდან სამეგრელო-სამურზაყანოში სამეცნიერო კვლევაძიებისათვის 1810 მანეთის გადადების შესახებ, შეწყნარებულ იქმნეს იმ პირობით კი რომ ბ. დოდაშვილმა ანგარიში თავის სამეცნიერო მოგზაურობის თაობაზე ერთ ერთს დაწესებულებას (ან უნივერსიტეტს ან საისტორიო საზოგადოებას) წარუდგინოს. ფინანსთა სამინისტრო და სახელმწიფო კონტროლიორი, თანახმად ასეთი დასკვნისა, თანხმანი არიან ხსენებულს მკვლევარს დოდაშვილს მიეცეს 1810 მანეთი, რაიც უკვე აცნობეს განათლების სამინისტროს.

✦ **ტანვარჯიშობისთვის.** რესპუბლიკის სკოლებში ტანვარჯიშობის საქმის მოსაგვარებლად, განათლების სამინისტროსთან დაწესდება თანამდებობანი—მთავარი ინსტრუქტორისა და ორი მისი თანაშემწისა. მთავარ ინსტრუქტორს დაენიშნოს ჯამაგირი თვიურათ 1500 მანეთი—მის თანაშემწეებს 1200 მანეთი თვითეულს. სამი თვის ხარჯების დასაფარავად—სათანადო თანხა სულ 11700 მანეთი გადაიდოს განათლების მინისტრის განკარგულებაში 10 მილიონიან ფონდიდან, 27 მაისის დადგენილებით უკვე გაღებულ 5000 მანეთის გამოკლებით (11700—5000) სულ 6700 მანეთი.

✦ **ექსკურსიების შესახებ.** განათლების სამინისტროს მოსდის სხვა და სხვა სასწავლებლებისა და ჯგუფებისაგან შუამდგომლობა, რომ მათ ნება დაერთოთ მოაწყონ შეღავათიანი ტარიფით ექსკურსიები. ასეთი თხოვნები შემოიტანეს მოსკოვის უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების წრემ, ტბილისის „თანდოიანის“ სასწავლებელმა, ლანჩხუთის გიმნაზიამ და სხვებმა. ვინაიდან განათლების სამინისტრომ ამ საგნის შესახებ ცირკულიარული განკარგულება უკვე მოახდინა, რომ წელს ეპიდემიურ ავათმყოფობათა გავრცელების გამო ექსკურსიების მოწყობა არ მოხერხდებაო, ამიტომ ყველა შუამდგომლობანი დაუკმაყოფილებელი დასტოვა.

### ბოროტ-მოქმედებანი.

✦ **ქურდობა.** სასტუმრო „იმპერიალში“ მცხოვრებ ეკ. ოვანესოვისამ მილიციაში განაცხადა, რომ 18 ივნისს მასთან მცხოვრებ ბაგ-ბადალოვმა მოჰპარა მას ნივთები 37,000 მანეთისა და მიიმალა.

✦ **ქურდობა.** კრასნაგორის ქუჩაზე მცხოვრებ სოფ. კანდელაკისამ მილიციაში განაცხადა რომ 16 ივნისს მისი ბინიდან ბოროტ-განზრახველებმა მოიპარეს სხვა და სხვა. ნივთები 10,000 მანეთისა.

**ქურდობა.** 20 ივნისს, ღამით მიკანიანცის მაღაზიიდან (ბაყლების ქუჩა) ბოროტ გამზრახველებმა მოიპარეს 23,000 მ. სხვა და სხვა საქონელი.

### კრებები

✦ **იურიდიულ საზოგადოების კრება.** კვირას, თიბათვის 22 დღის 11 საათზე სასამართლო პალატის შენობაში შესდგება ქართულ იურიდიულ საზოგადოების საერთო კრება, რომელზედაც მოხსენებას გააკეთებს იუსტიციის მინისტრის ყოფილი ამხანაგი გ. გველესიანი შემდეგ თემაზე: საქართველოს რესპუბლიკის პირველი იუსტიციის სამინისტრო და საქართველოს სენატი.

განსახილველია აგრეთვე საკითხი 1) მთავრობის ზოგიერთ წევრობის სასამართლოზე გავლენის შესახებ; 2) მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევნები და სხვა

✦ **სეირნობის მომწყობი კომისიის კრება.** ორშაბათს, 23 თიბათვეს, საღამოს 6 საათზე წ. კ. გ. საზ. ბინაზე დანიშნულია სეირნობის მომწყობი კომისიის კრება.

✦ **კრება.** დღეს, დილის 11 საათზე თბილისის პირველ კომერციულ სასწავლებლის შენობაში (19 თებერვლის ქ. № 2.) გაიმართება „თბილისის 1-ლ კომერციულ სასავლებლის კურსდამთავრებულთა საზოგადოების“ ორგანიზაციული კრება

### შეცდომის გასწორება

გუშინდელ ნომერში „ახალი გზით“ დაბეჭდილია: არც სოციალურ დელეგაციას მოვაწყობდით; უნდა იყოს— არც სპეციალურ დელეგაციას... დაბეჭდილია: მცირე ერობის ბედ-იღბალი; უნდა იყოს—მცირე ერების...

## პარტიული ცხოვრება

✦ **ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კონფერენცია, რომელიც დანიშნული იყო 21 ივნისისთვის, გაიმართება 5 ივლისს. დელეგატები იგზავნება ისე, როგორც იყო გამოცხადებული. მთავარი კომიტეტი.**

**თბილისის კომიტეტი** ამით აცხადებს მათ საყურადღებოდ, ვისაც საგარეკო მიწის ლატარიის ბილეთები გასყიდული აქვთ, რომ ლატარიის მოხდენა ჯერ არ ხერხდება, ვინაიდან ყველას არა აქვს ბილეთების ანგარიში დაბრუნებული. კომიტეტი სთხოვს მათაც, დააჩქარონ ბილეთების გასყიდვა და ანგარიშის ჩაბარება.

## სამხატვრო ქრონიკა

✦ **ვასილ ბარნოვის ახალ რომანი.** ვასილ ბარნოვმა დაასრულა ახალი ისტორიული რომანი „ხაზართა სასძლო“ რომანის სიუჟეტი ამოღებულია იმ ეპოქიდან როდესაც პოლიტიკურად დაკავშირებულნი ვიყავით დიდ ხაზარებთან.

რომანის ნ-სახი:

„ხაზართა სასძლო“. არჩილ წამებულის ოჯახი. მისი უნცროსი ვაჟი ჯუანშერ და სულ უნცროსი ქალი, შუშანი ისტორიულ მშვენების მქონი, კახეთის ხევში, შეუვალ ციხეში. უფროსი ვაჟი იოანე და სხვა წევრები ოჯახისა დასავლეთ საქართველოში. ხაზართა კაზანი, ადრევე კეთილის მყოფელი საქართველოსი, აღუთქვამს მეველას სარკინოზთა წინააღმდეგ, ბერ სხვა სიკეთეს ჩიესმის მას ქება არჩილის ქალის, მოისურვებს მის წაყვანას დედოფლად. უარს ეტყვიან: ურჯულოსაგან არ შეგინდების ჩვენი ქალიო. კახანს ვერ მოუსვენია: თავმოყვარეობა, სიყვარული. სამი წელიწადი გადის. გადმოაპარებს ჯარს ლეკებზედ ფარულად, დაეცემა უმწეო ციხეს, გამოიყვანს ქალს და ჯუანშერს. ქალი განსაცდელის დროს ისე დაიჭერს თავს, როგორც ხაზართა დიდი დედოფალი; ემორჩილებიან: გააცხადა თავისი დასტური; თაყვანსა სცემენ; მისი ბრძანებით ბევრი რამ გადურჩა ფარულად შემოსეულ ლაშქარს. მიჰყავთ დიდებით. დარიელი საქართველოს საზღვრებზედ ვეღარ ითმენს როლის შემდეგ შესრულებას, ალარც საჭიროა. წაიძრობს ბეჭედს, ამოიღებს თვალს; თვალ ქვეშ შხამი; ამოსწოვს; მოკვდება. ხაზმთა სარდალი გზაზედ ჰმარხავს მას. მივა კახანთან, მიართმევს ამბავს თან ჯუანშერსაც.—მკვდარს მაინც მიჩვენებდი! ბრძანებს განრისხებული მფლობელი. სასტიკი სიკვდილი სარდლისა. მოპყრობა ჯუანშერის.

✦ **რესტორანი „ანონა“.** ქალაქის გამგეობამ გადასცა კიდეც სახელოვნო ცენტრს. რესტორანში გაიხსნება სამხატვრო სალიტერა—ურო კლუბი.

✦ **ახალი წიგნის გამომცემლობა თბილისში.** თბილისში არსდება ახალი წიგნის გამომცემლობა რომელიც მოკლე ხანში შეუდგება წიგნების გამოცემას.

✦ **ქართველ მხატვართა საზოგადოებას.** მოძრავ გამოფენისთვის მთავრობამ ერთი ვაგონი უსასყიდლოთ დაუთმო.

## პროვინციის ცხოვრება

### ს. ხირსა.

უკანასკნელ დროს ამოვარდნილ ქარიშხალმა დააზიანა ქიზიყის მხრის მოსავალი და სხვათა შორის სტეფან წმინდის ეკლესია ხირსაში.

### ს. ხაშმი.

სეტყვამ ხაშმის ვენახები დიდათ დააზიანა. ზარალი აუნაზღაურებელია.

## „საქართველოს ხელოვნების ცენტრში“

პარასკევს, საღამოს შესდგა „საქართველოს ხელოვნების ცენტრის“ მორიგი სხდომა, რომელზედაც განხილულ იქმნა საქართველოს ხელოვანთა სამხატვრო სალიტერატურო კლუბის დაარსების საკითხი. ცენტრმა მოიწონა მწერალთა კავშირის მიერ წარმოდგენილი პროექტი და აირჩია განსაკუთრებული კომისია, ხელოვნების ყველა დარგისაგან, რომელსაც დაევალა სავსებით მოაწესრიგოს ამ კლუბის საქმე, შეიმუშაოს წესდება და მოლაპარაკება გასწიოს პირობების შესახებ იმ პირებთან, რომელთაც სურთ იჯარით აიღონ კლუბის რესტორანი:

კომისიაში შედიან: გრიგოლ რობაქიძე, ლელი ჯაფარიძე, მოქანდაკე ი. ნიკოლაძე, მხატვარი დ. კაკაბაძე და მსახიობი ალ. იმედაშვილი ამავე სხდომაზედ, „ხელოვნების ცენტრის“ მიერ განხილულ იქმნა ქართული თეატრის საქმეები და შედგენილ იქმნა განსაკუთრებული კოლლეგია, რომელმაც უნდა გასწიოს სათეატრო საქმის მთავარი ხელმძღვანელობა და მომავალ წლისათვის შეადგინოს დასი სახელმწიფო დრამატიულ თეატრისათვის ეს კოლლეგია შესდგება 7 კაცისაგან; მათ შორის ოთხი წარმომადგენელი ცენტრისა (ერთი მწერალი, ერთი მხატვარი და ერთი მუსიკოსი და ერთი მსახიობი( ერთი წარმომადგენელი მსახიობთა საპროფესიო კავშირისა და ერთიც დრამატიულ საზოგადოებისა.

საქართველოს მწერალთა მხრით, ამ კოლლეგიაში არჩეულ იქმნა გრიგოლ რობაქიძე.

## დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

20 თიბათვე.

### გერმანული პრესა

**გერმანია და მოკავში. ულტიმატუმი**

გერმანიის საზოგადოებრივი აზრი უარყოფილად შეხვდა ულტიმატუმს. შეუძლებლადღ მიაჩნიათ რომ შეიდემანმა და რანტცაუმ მხარი დაუჭირონ ხელის მოწერას. გაზეთები დამოუკიდებლებს ჰკიცხავენ, რომ თუ გერმანიას მკაცრად ექცევიან, ეს იმის გამო, რომ დამოუკიდებლები მთავრობას ოპოზიციაში უდგიან ზავის საკითხში საპასუხო ნოტის იმ ნაწილს, რომელიც ომის დროს გერმანიის ხალხის საქციელს კრიტიკას შეიცავს, დამოუკიდებლები პროპაგანდისთვის იყენებენ „ბერლ. ტაგ.“ და „კრ. ცეიტ.“ ერთი აზრისანი არიან ულტიმატუმის უარყოფის შესახებ „ფორვერტსი“ იწმუნება, რომ ეროვნულ ყრილობის წევრთა უმრავლესობა ხელის მოწერის წინააღმდეგია და თუ უმრავლესობა ხელის მოწერას დაუჭერს მხარს, მაშინ ახალი მთავრობა უნდა შესდგეს და ახალი დელეგაცია აირჩეს, მხოლოდ თუ უმრავლესობა ხელის მოწერის წინააღმდეგი აღმოჩნდა მაშინ მთავრობა მოწინააღმდეგებს წინადადებას მისცემს საყოველთაო ხმის მიცემა მოხდეს უარყოფის დასადასტურებლად, რათა დარწმუნდნენ, რომ შეუძლებელია ომის განახლება

**„კრასნაია გორკახ“ აღება.**

ფინურ ცნობების თანახმად, თეთრმა ჯარმა, რომელმაც ფინეთის ყურის სამხრეთით გაილაშქრა, კრასნაია-გორკა დაიჭირა. ამ ფორტს ეხლა ბოლშევიკების ხუთი სამხედრო გემი და კრონშტატის ბატარეები უშენს.

**აჯანყება ვენაში.**

ვენაში წარსულ კვირას კომუნისტებმა აჯანყება მოახდინეს, მაგრამ მალე ჩააქრეს, რადგანაც პარტიის ლიდერები შაბათს უკვე დაპატიმრებულნი იყვნენ. ეცადნენ მათ განთავისუფლებას, მოხდა სროლა, რომლის დროსაც რამდენიმე მოკლულია და დაჭრილი.

**ახალი გაფიცვა.**

გაზეთების სტამბის მუშათა გაფიცვა გრძელდება. გაზეთები არ გამოდის.

### ინგლისური პრესა.

**ვილსონის გამგზავრება**

**ვაშინგტონი** უკანასკნელი ცნობებით, პრეზიდენტი ვილსონი პარიზიდან ივნისის 24 და 25 წავიდა. ვაშინგტონში ჩამოსვლისთანავე კონგრეს წარუდგება და შემდეგ მიმდინარე საქმეებს შეუდგება, ვიდრე ხალხთა ლიგის საქმეებზე გაემგზავრებოდეს ერთი კვირა მოუნდება.

**მოკავშირეთა საპასუხო ნოტა**

გერმანელთა საპასუხო წინადადებათა პასუხში მოკავშირენი აცხადებენ, რომ ომი უდიდესი დანაშაულია კაცობრიობის და სამართლიანობის წინააღმდეგ. გერმ ხელთა კონტრ-წინადადებათ მიღება შეუძლებლათ სცნეს, მაგრამ მოკავშირენი თანახმა არიან, რომ ზემო სილეზიაში მოხდეს პლებისციტი, რომელიც გამოარკვევს, თუ ვის ხელში გადავა ეს მხარე, გერმანიის თუ პოლონეთის. საარის ოლქი ფრანგების ხელში იქნება 15 წელს, რომლის შემდეგაც მცხოვრებნი თვით გადასწყვეტენ თავის ბედს. გერმანიას ახალშენებს ვეღარ დაუბრუნებენ მოკავშირეებს განზრახული არა აქვთ ეკონომიურად გერმანიის ჩაღრჩობა, პირიქით ისინი მზად არიან გაუადვილონ მას მრეწველობის აღდგენა. გერმანიას ეხლავე ვერ მიიღებენ ხალხთა ლიგაში, მომავალში კი ეს მასზედვე იქნება დამოკიდებული. კაიზერს მოკავშირეთა სამსჯავრო გაასამართლებს. ომის დროს დანაშაულის ჩამდენთა სია საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერიდან ერთი თვის შემდეგ უნდა იქმნეს წარმოდგენილი. შესაძლებელია იმ მუხლების შეცვლა, რომელიც ჰელჰოლანდს, გერმანიის ფლოტს და ზარალის ანაზღაურებას შეეხება. შეიძლება, რომ გერმანიის ჯარის რაოდენობა 200,000 კაცისაგან შესდგებოდეს სამი თვის განმავლობაში კიდევ შემდეგ, შემდეგ კი 100,000-მდე უნდა შემცირდეს.

**ულტიმატუმი ფონდერ ჰოლცის მიმართ.**

მოკავშირეთა უმაღლეს სამხედრო საბჭოს დადგენილების გამო ბალტიის მხარეში მყოფ მოკავშირეთა მისიების უფროსმა გენ. გოფმა გერმანიის გენ. ფონ-დერ-ოლცს გაუგზავნა ულტიმატუმი, რომელშიაც მოითხოვს, რომ გერმანელებმა შესწყვიტონ ბოლშევიკების მოწინააღმდეგე ლიტვის ჯარის წინააღმდეგ ბრძოლა და ყოველგვარი მოქმედება, რომელიც ლიტვის მთავრობის შედგენის წინააღმდეგაა მიმართული.

### ფრანგული პრესა

**ოთხთა საბჭოს შეცვლა ხუთთა საბჭოთი.**

ოთხთა საბჭოს წევრნი წავიდ-წამოვიდნენ: ვილსონი ბრიუსელშია, ლოიდ ჯორჯი ვერდენში. მათი წასვლის შემდეგ საქმეებს აწარმოებს ხუთთა საბჭო. რომელსაც განსახილველათ წარდგენა სამი საკითხი: 1) იმ დაკანონებათა შესახებ, რომელიც ძალაში უნდა შევიდეს დანცინგში, როცა გერმანელები ქალაქს გადასცემენ ხალხთა ლიგას და უკანასკნელი კი იქ თავის რწმუნებულს დანიშნავს: პოლონეთისა და უკრაინას შორის დროებითი ზავის შესახებ; 3) პლებისციტის მოხდენის შესახებ კლაგენფურტში, რომელსაც ავსტრიის გერმანელები და სამხრეთის სლოვანები ერთმანეთს ეცილებიან.

### ბოლშევიკური ცნობები

**ნიკოლაევის რადიო სადგურის ცნობა.**

**კიევი,** ივნისის 19. სამხედრო ცნობა. სტარო-კონსტანტინოვის რაიონში მოწინააღმდეგემ საარტილერიო ცეცხლის შემდეგ სტარო-კონსტანტინოვი და სოფ. ლაგოდინცი დაიჭირა და ბოლში-ჩერნიატანთან რკინის გზა გააფუჭა, მაგრამ კონტრ-იერიშით კოზბინისაკენ უკუ ვაგდეთ. პროსკუროვის მიმართულებით სად. დირაჟნის რაიონში ბრძოლაა. ხარისტინოვკას რაიონში ტუტუნიკის ბრბო გამოჩნდა. მათ წინააღმდეგ ზომებია მიღებული გეისენის რაიონში ბრბო უკან იხევს.

**ეკატერინოსლავი,** ივნისის 18. ადგილობრივი გარნიზონი რევოლიუციონურ აღფრთოვანებით არის გატაცებული. ჯარის ნაწილები მზად არიან მუშათა და გლეხთა მთავრობის დასაცავად ფრონტზე წავიდნენ. ყველა უნდა მოემზადოს ბრძოლისთვის—ან გამარჯვება ან სიკვდილი, სხვა გამოსავალი არ არის უკრაინის მემარცხენე სოც.-დემ. ორგანო „ჩერნოვი სტიაგი“ სწერს: კიდევ ერთი შეტევა, კიდევ ერთი თავდასხმა და კონტრ-რევოლიუცია საბოლოოდ დამარცხდება და რევოლიუციის მონაპოვარი უზრუნველყოფილი იქნება. ეს შეტევა უნდა მოხდეს ხარკოვთან და დონეცის ოლქთან, სადაც შავმა ძალებმა რამოდენიმე შესძლეს გამარჯვება. ხარკოვის და დონეცის ოლქის გადასარჩენათ აღსდეგით ყველა, ვისაც კი შეგიძლიათ იარაღის ტარება, ვისაც არ გსურთ კაპიტალისტების და მემამულეების გამეფება.

**კიევი,** ივნისის 18. დღეს მიტინგები მოხდა შემდეგ თემაზე „ყველაფერი ხარკოვის დასაცავათ.

**ჩრდილოეთის ფრონტი.** არხანგელსკის რაიონში: ჩრდილოეთ-დვინის მიმართულებით მდინარეებმა სოფ. პეტროვსკაიაზე 40 ყუმბარა ჩამოაგდეს. ონეგის რაიონში ჩვენმა ჯარმა კოჟეოზერის (?) მონასტრიდან მტერი გამოდევნა. მოწინააღმდეგემ მონასტერი დასტოვა. მურმანის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა სოფ. ფედოროვსკისკენ დაიხია. პეტროზავოდსკის რაიონში ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა ახალი პოზიციები დაიჭირა. ფინეთის ყურეს სამხრეთ ნაპირზე ჩვენი შეტევა გრძელდება. კრასნაია გორკის სამხრეთ-დასავლეთით მდ ვორონკასთან რამოდენიმე სოფელი დავიჭირეთ. ლუგის რაიონში სად. პლიუსთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ნევის რაიონში ჩვენმა ჯარმა ტერსკაია დაიჭირა დვინის რაიონში ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია. სვენციანის მიმართულებით კონტრ-იერიშებით მოწინააღმდეგის უკან დავახევინეთ.

**სამხრეთის ფრონტი.** კუპიანის მ...

მართულებით ჩვენმა ჯარმა ურაზოვო დასტოვა. კუბრაკოვო-ნოვოალექსანდროვსკის ხაზზე ბრძოლაა. ბოგუჩარ-კალაჩის რაიონი. ჩვენმა ჯარმა რამოდენიმე სოფელი დასტოვა. ცარიცინის რაიონში ჩვენი ჯარი კონტრ-იერიშზე გადავიდა. დაიჭირა სად. კოროპოვონო და 400 ტყვეთ წამოიყვანა ხელთ იგდო 6 ტყვიისმფრქვეველი და თოფები. მოწინააღმდეგის იერიშები მოვიგერიეთ და მტერი დავამარცხეთ. ასტრახანის რაიონში ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა ახალი პოზიციებისკენ დაიხია.

**ლიონი**, ივნისის 17. კლემანსომ საფრანგეთის მუშების ლიდერებს განუცხადა, რომ ზავის ხელის მოწერის შემდეგ ის გადადგება. ამ უკანასკნელ თვეების განმავლობაში მთავრობას საქმე ჰქონდა ოპოზიციასთან რომელიც თანდათან ძლიერდებოდა, განსაკუთრებით ძლიერი იყო იგი პალატაში მაღაროს მუშების გაფიცვის შესახებ კამათის დროს როცა მთავრობამ შესძლო 21. ხმის უმეტესობით საყოველთაო გაფიცვა რამოდენიმე ხნით გადაიდო. მაღაროს მუშების გაფიცვები ხვალ იწყება. ამ გვარად იწყება საზავო კონფერენციის მოღვაწეთა უკიდურესი გაჭირვების კვირა.

**ლიონი**. ივნისის 17. მიღებულია სამხედრო და ეკონომიური ზომები გერმანიაში ენერგიულ გავლენის მოსახდენათ, იმ შემთხვევაში, თუ გერმანიის დელეგაცია ზავზე ხელს არ მოაწერენ. ფოშის მთავარი ბინა ლიუკსემბურგშია. აღნიშნავენ, რომ გერმანია პუსენის დასაცლელად ემზადება. გერმანიის ცენტრ ოლქებში სამხედრო ქარხნებში დღე და ღამე მუშაობენ. პოლონელები აღმოსავლეთ ფრონტზე უთუოდ მხარს დაუჭერენ მოკავშირეებს.

**ჯ-ის არმიის შტაბი** ივნისის 17 დენიკინის არმიის შტაბი პოლიტიკურ ცნობების თანახმად, აზერბაიჯანის რესპუბლიკის 15000 ჯარმს კაცი ჰყავს. ამ ჯარის მთავარი ძალა განჯაშია თავმოყრილი. ოფიცერთა შორის არიან ქალებიც.

**ბესარაბიის ფრონტი.** ბენდერის რაიონში კრასნოგორკა-ჩერნოვკაი ხაზზე მოწინააღმდეგე საარტილერიო სროლას აწარმოებს.

# აზერბაიჯანი

**ფულით ვაჭრობა.**

ფულით სპეკულიაცია ბაქოში მეტად განვითარდა; ამის მიზეზად ასახელებენ იმას, რომ ბოლო დროს ბათუმში დიდძალი საქონელი ჩამოვიდა, რომელსაც მხოლოდ უცხო ფულს იღებენ.

**გადასახადი მაგარ სასმელებზე.**

ფინანსთა მინისტრის კანონპროექტი მაგარ სასმელებზე, (ლუდის და ღვინის გარდა), რომელიც აზერბაიჯანის საზღვრებიდან გააქვთ, საბაჟო გადასახადის გადიდების შესახებ მთავრობის მიერ მოწონებულ იქმნა და პარლამენტს გადაეცა.

**ბაქოს „გრადონაჩალნიკის“ ბრძანება.**

ბაქოს გრადონაჩალნიკმა თიბათვის 18-ს შემდეგი ბრძანება გამოსცა პოლიციის საყურადღებოდ. პოლიციურ თანამდებობის პირნი არავითარ პარტიას არ უნდა ეკუთვნოდენ და არც შემდეგში მიეკუთვნონ პოლიციისათვის არ არსებობს არც ეროვნება, არც სარწმუნოება, არც კლასიური განსხვავება—ყველა მოქალაქენი მისთვის ერთია და ყველა ბოროტმოქმედი მისი მტერია.

პოლიცია მთავრობის აღმასრულებელი ორგანოა. ჩხრეკა და დაპატიმრება მოხდება სასამართლოს დადგენილებით, კონტრ-დაზვერვის კომისიის უფროსის ბ-ნ ზიხზა მავანოვის ბრძანებით, ბაქო და ბალახანა-საბუნჩის პოლიცმეისტრების, მაძებარ პოლიციის უფროსის, ზოგიერთ შემთხვევაში მოქალაქის და მხოლოდ სასწრაფო შემთხვევაში ამის ნება აქვს დარაჯსაც ყოველგვარი აუსრულებლობა ამ ბრძანებისა გამოიწვევს დამნაშავის არა მხოლოდ სამსახურიდან დათხოვას არამედ სამართალში მიცემასაც. მოგიწოდებთ საქმისადმი მტკიცე, შეგნებულ და მცხოვრებთადმი პატივისცემით მოპყრობას.

**ყარაბაღი.**

„აზერბაიჯანში“ დაბეჭდილია ყარაბაღის გუბერნატორის სულთანოვის დეპეშა რომელშიაც იტყობინება: „ეხლა ჩემდამი რწმუნებულ საგენერალ-გუბერნატოროში, ზანგეზურის მაზრის გარდა, სრული წესრიგი ადგადგინე. შუშა-ევლახის შარა გზაზე მგზავრობა სრულიად მოწესრიგებულია და საშიში აღარ არის. ადმინისტრაციას ნაბრძანები აქვს დახმარება აღმოუჩინოს შუშა ევლახის შარაგზაზე მგზავრებს.

**თავდაცვის საბჭოს განცხადება.**

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარემ უსუფბეკოვმა განცხადება გამოსცა სადაც ამბობს რომ ამ ბოლო დროს გავრცელებული ხმები ვითომც ინგლისელები ერეოდნენ ჩვენ შინაურ საქმეებში, ვითომც ისინი ეხმარებოდნენ დენიკინს ჩვენ წინააღმდეგ სიმართლეს არ შეეფერება. პირიქით ინგლისელებმა დემარკაციული ხაზი გაავლეს ჩვენსა და მოხალისეთა შორის. უსუფბეკოვი ბოლოს აცხადებს რომ იგი მიიღებს სასტიკ ზომებს ყველა იმათ მიმართ ვინც ასეთს ჭორებს ავრცელებსო.

# ავღანი

ავღანიდან ჩამოსულ ვაჭარმა ჩვენი გაზეთის თანამშრომელს იქაურ მდგომარეობის შემდეგი გადსცა: „ავღანის მოძრაობა გამოწვეულია იმდენად არა ბოლშევიკების პროპაგანდით რამდენადაც ინგლისელების მოქმედებითა და ინდოეთში შექმნილ მდგომარეობის მიხედვით.

ინდოეთში მომხდარა ამბოხება, ავღანის ახალ ემირს საშუალება მისცა ინდოეთის საზღვრებზე ჯარი დაეგროვებინა;

საჭირო იყო მხოლოდ ერთი ნიშანი ინდოელთა მიერ რომ ავღანის ჯარს ინდოეთზე შეტევა დაეწყო.

სულიერი განწყობილება ავღანში აწეულია. ბოლშევიზმს იქ ადგილი სულ არა აქვს. ხალხს მაინცა და მაინც არც ეპრიანება რუსები. ავღანში იმდენად არის ხალხის ეროვნული სული აღფრთოვანებული რომ დარწმუნებულნი არიან ინგლისელებზე გაიმარჯვებენ. ეს წარმოდგენა შექმნა იმ გარემოებამ, ერთი ის რომ ხალხმა ინგლისელები ახლოს გაიცნო, მეორე ის რომ ინგლისის ჯარში მრავლად არიან ჩაწერილები ადგილობრივი „ბოგნო“-ები რომელნიც ავღანში ცნობილნი არიან როგორც ბეჩავნი. ასეთია სულიერი განწყობილება ავღანში, ამისათვის სრულიად გასაკვირველი არ იყო იქაურ მცხოვრებთათვის როცა ავღანის ჯარმა ამ უკანასკნელ ხანში ინგლისის ჯარს შეუტია და შეავიწროვა. ჩემს წამოსვლის დროს, დაათავა ვაჭარმა, ავღანის ჯარმა ერთი მეორეზე წაართვა ინგლისელებს რამოდენიმე სოფელი ინდოეთის საზღვრებზე.

# უცხოეთის ამბები

**ჟურნალ-გაზეთებიდან.**

**სომეხთა ორი პოლკის დახვრეტა.**

„შურა იხბარ“-ი („საბჭოთა უწყებები“) იტყობინება, რომ ასხაბადში დაუხვრეტიათ სომეხთა 2 პოლკი, რომლებიც ჯერ მოხალისეებს ეხმარებოდა, ხოლო შემდეგ ბოლშევიკების მხარეზე გადავიდა. ბოლშევიკებმა ჯერ იარაღი აჰყარეს და შემდეგ უკლებლივ დახვრიტეს. დასჯილთა სია სამ დიდ ფურცელს იჭერს და ხელმოწერილია საგანგებო სასამართლოს კომისრის—ყაზიმ-ბეის მიერ.

**რანტცაუ და ბოლშევიზმი.**

ინგლისური „ტაიმსი“ იტყობინება რანტცაუმ ვეიმარში, ეროვნულ საბჭოს დახურულ კრებაზე განაცხადა, რომ გერმანიისთვის ეხლა ფრიად ხელსაყრელია ბოლშევიზმის გზითა რება, რომელიც ჩვენ უნდა მოკავშირეებისაკენ მივმართოთ. უნდა ვისარგებლოთ ბოლშევიზმით, სანამ იგი გერმანიისათვის საფრთხეს არ წარმოადგენს. ამასთანავე უნდა გამოვიყენოთ 1919 წლის ბოლშევიზმი, რომელთანაც შეიძლება ვაჭრობა და მისი მოკავშირეთა ქვეყანაში გადასროლა.

თავის სიტყვის ბოლოს მოუწოდა მხარი დაუჭირონ როგორც უკიდურეს მემარცხენე პარტიებს.

**„დეზერტირობა“ მოხალისეთა ჯარში.**

აპრილის განმავლობაში ყუბანის ოლქში „დეზერტირობისათვის“ სამართალში მისცეს 748. სტავროპოლის გუბერნიაში—2.204. და თერგ დაღესტნის ოლქში 7. სულ 2959 კაცი.

**ოსების პოლკი.**

გაზ. „ედინაია როსსია“ ცნობით ჩრდილოეთ ოსეთში დარ კოჰში შესდგა ოსთა ცხენოსანი პოლკი.

**მოხალისეთა ხაზინის გადატანა როსტოვში.**

ახლო მომავალში სამხედრო რუსეთის შეიარაღებულ ძალთა მთავარ სარდლის საგანგებო საბჭოს ყველა განყოფილებანი ეკატერინოდარიდან გადააქვთ როსტოვში.

**პეტლიურა**

გალიციის მიმართულებით პეტლიურას ჯარი ბოლონელებთან შეტაკების შემდეგ დაბა „შელნიცა“-ში შევიდა.

**ინგლისის ავიოპარკი ნოვოროსისკში.**

ამ დღეებში ნოვოროსისკში ჩავა ინგლისის სამხედრო გემი, რომელზედაც მოწყობილია ავიოპარკი მთელი სახელოსნოთი და ჰიდროპლანების ზღვაში ჩასაშვები საშუალებებით.

# მარიამ დედოფალი და გენ. ლაზარევი

საქართველოს სამეფოს მოსაშლელად რუსეთის იმპერატორები არაფერს არა ჰზოგავდნენ, იმპ. ეკატერინემ ყველას გადააჭარბა, მის დროს ერეკლე მეფე ოთხჯერ იქმნა მოტყუილებული, სოლომონ მეფე პირველი ერთჯერ, სოლომონ მეორე კი რამდენჯერ მოატყუილეს მისივე წყალობით, საქართველოს თავს დაეცა აღა მაჰმად ხანი 1795 წ. ესეთი მტერი მეორედ აპირებდა საქართველოზედ დაცემას 1797 წელს, ასეთ წადილით გარდაიცვალა ეკატერინე 1796 წ. შემდეგ გამეფდა პავლე I გიორგი მეფის მეგობარი და ქრისტიანების დიდი მფარველი, გიორგი მეფემ იგი ქრისტესაც კი შეადარა მაგრამ ცნობილი მისი ვერაგობა და მისი მეგობრობის შედეგებიც

ამისთვის ყეინს ჩუმად იარაღსაც უგზავნიდენ. ეკატერინემ კავკასიაში გამოგზავნა ჯარი, რომლის მეთაური იყო გრაფ. ვალ. ზუბოვი, მას უნდა დაეპყრო ბაქო, ყუბა და მთელი კასპის ზღვის ნაპირა ადგილები და ქალაქები, ამასთანვე დაღესტანი და ბოლოს ეს გენერალი საქართველოშიაც უნდა შემოსულიყო მაგრამ პავლე იმპერატორმა ეს განზრახვა აღარ შეასრულა.

რუსეთმა ვერ შეასრულა წადილი და საქართველო ვერ მოსპო. ცბიერი შაჰიც მოკლულ იქმნა ქ. შუშაში, აი რა სიტყვებით გადმოგვცემს დავით ბატონიშვილი:

**„ხოლო აღა მაჰმად ხანმან ხოჯამან დაიპყრო ციხე შუშისა, რომელსაც ენება წარტყვევნა სრულიად ქართლისა, გარნა ღმერთმან განათავისუფლა ქართველნი, რამეთუ ღამესა მის მოკლეს მსახურთა მისთა“.**

პავლემ მეფე ერეკლე მოხიბლა თითქმის და ყოველივე ბოროტება რუსეთის იმპერატორისა დაფარულ იქმნა საქართველოს დასაღუპავად, ამის შემდეგ განვლო მცირე ხანმა და 1798 წ. დამდეგს მეფე ერეკლე გარდაიცვალა, ამის მაგიერ პავლე იმპერატორის ნებართვით და 1783 წ. ტრაკტატის ძალით გამეფდა გიორგი მეფე.

პავლე იმპერატორმა გიორგი მეფესთან გამართა მეგობრობა, წერილების მიწერ-მოწერა, ფეშქაშების, ელჩების გზავნა და სხ.

პავლე იმპერატორმა გიორგი მეფეს შეუჩინა კოვალენსკი და სამხედრო საქმეთა და ჯარის უფროსი ღენერალი ლაზარევი. ერთსაც და მეორესაც ამათ აუწყეს იმის დავალება, რომ იგინი იგზავნებოდენ ქართველის მეფის გიორგის წინაშე დასახმარებლად, მაგრამ მიუხედავად ასეთ დახმარებისა უნდა ცდილიყვნენ და საქართველოს სამეფო ოჯახი, რომელიც შესდგებოდა ერთობ დიდის რიცხვისაგან უნდა აერიათ.

კოვალენსკი და ლაზარევი რუსის ჯარით თბილისში მოვიდნენ 1799 წ. 5 დეკემბერს, ეს ბნელი მოციქულები გიორგი მეფემ დიდი პატივით მიიღო ამ პირთა გასვლა ანჩხატის ეკლესიაში იდღესასწაულა კიდეც და დიდი წირვა და პარაკლისი გადიხადა პავლეს სადღეგრძელოდ. კოვალენსკი და ლაზარევი დაუახლოვდნენ მეფე გიორგის, ესენი გიორგი მეფეს ყოველთვის ხიბლავდენ და რაც სურდათ იმასვე აკეთებინებდენ მას. მცირე ხანს შემდეგ მეფემ ისურვა მისი ნათლიობა, ლაზარევი ასეთ პატივის ცემას ყურადღებას არ აქცევდა, მას დღე და ღამ თვალწინ ედგა თავის ხელმწიფის დავალების შესრულება, რაც კი საქართველოს სამეფოს მალე გაუთხრიდა სამარეს და მის მეოხებით ამ ქვეყანას და ქართველ ერს რუსებიც ჩაიგდებდენ ხელში

ლაზარევი იყო ნამდვილი რუსი და პავლე იმპერატორის ტიპის ღენერალი.

მან გაიცნო ქართველი ბატონიშვილები: გიორგი მეფე, ასევე ამათი შინაური საქმენი, ურთი ერთ შორის დამოკიდებულება და გველური პოლიტიკა დაატრიალა.

ღენერალ ლაზარევმა შესძლო ის რაც ვერ შესძლეს მის წინეთ რუსის სხვა ღენერლებმა.

ღენერალ ტოტლებენი, რომელმაც მეფე ერეკლე მოატყუილა და ასპინძის ომში ღალატი მეფე ერეკლეს და რუსის ჯარი უკან დასწია ოსოდამ.

ღენერალ ლვოვი, რომელმაც მეფე ერეკლეს ტოტლობენის ღალატი დაავიწყა და თვით უფრო მოატყუილა და ქართველი ჯარი გასწყვიტა.

ღენერალ სუხოტინმა, რომელმაც მეფე სოლომონ მეორე მოატყუილა და იმერთა ჯარი გაუწყვიტა.

ღენერალ ბურნაშევი, რომელმაც მეფე ერეკლე მოატყუა და განჯისაკენ, ლაშქარი გაუწყვიტა.

ამათ გარდა ვერც სხვა ღენერლებმა მოახერხეს ის და შესძლეს, რაც შესძლო და მოახერხა ღენერალ ლაზარევმა და ისიც უნდა ითქვას, რომ ყველა ეს ბოროტებანი მან სულ ორი წლის განმავლობაში შესძლო, 1799 წლიდამ 1808 წლის ნახევრამდის. მან მოაწყო და მოახერხა ისეთი საქმენი, რომ წლის თავზედ, ანუ 1800 წ. გიორგი მეფის ოჯახი და სამეფო ისე არია, რომ თვით გიორგი მეფეც კი გადაჰკიდა თავის შვილს დავითს და დავითი კიდევ თავის მამა გიორგი მეფეს.

(დასასრული იქნება).

ზ. ჭ.

# ჰოსპიტლების სამხედრო უწყებიდან

(წაკითხულია ექიმთა კომისიაში).

(დასასრული)

10) რა დადებითი მხარეები იშლებიან ჩვენ თვალწინ. თბილისის და ქუთაისის ჰოსპიტლების გადაცემით.

ა) იქნება ფინანსიურის მხრივ-ხარჯის შემცირება?

ასეთი გადაცემით ხარჯი არ შემცირდება. მოვლა პატრონობა ყოველგან ავადმყოფს ერთნაირი უნდა; მრჩენელთა და მომვლელთა რიცხვის რაოდენობაც ერთნაირია, სადაც უნდა იწვნენ ავადმყოფები სამოქალაქოში თუ სამხედროში, სულერთია. სამოქალაქო საავადმყოფოებში სამხედრო ავადმყოფთა დაწვენით ჩვენ სამშობლოს ხარჯს ვერ შევუმცირებთ.

ბ) იქნება ავადმყოფთა სანიტარიის მხრივ უკეთეს პირობებში ჩაყენება აქვთ მხედველობაში გადაცემის მომხრეებს?

მაგრამ მოგეხსენებათ; ეს მთლიანად დამოკიდებულია იმ ბიუჯეტზე, რომელსაც მთავრობა გაიღებს ავადმყოფთა მოსავლელად და არა იმაზე თუ, რომელი საავადმყოფო იკისრებს იმათ მოვლას, სამხედრო თუ სამოქალაქო.

დ) იქნება სხვა რაიმე აღმზრდელობითი მიზანი ჰქონდეს ავადმყოფ ჯარის კაცთა და მოქალაქეთა ერთი უწყების საავადმყოფოებში ერთად გათქვეფას?

11) საჭიროა გადაცემის მომხრეებმა ნათლად გვამცნონ თუ რაშია საქმე. რაც კი ოდნავ სასარგებლოდ იქნება მიჩნეული, ჩვენ აღტაცებით მივიღებთ, რათა ყოველისფერი მოეწყოს ჩვენი ერის საკეთილდღეოთ.

12) დაწინაურებულ ევროპის სახელმწიფოებში სამხედრო სასანიტარო საქმე ცალკე ერთს მთლიანს კორპუსებათ არიან გამოყოფილნი და საერთო სამოქალაქოსთან არა აქვთ რა საგანგებო ყურადღება აქვს ამასთანავე მიქცეული სამხედრო ექიმთა მომზადების საქმეს.

მიღებულია, რომ სპეციალურად განაწილებული შრომა უფრო ნაყოფიერია და ვფიქრობ, რომ სამხედრო სასანიტარო საქმეც არ უნდა იყვეს არეული სამოქალაქოსთან, რათა ავიცდინოთ თავიდან მოსალოდნელი გაუგებრობა და საზოგადოთ კი სანიტარული საქმის მოკოჭლება.

13) მხედრობა მუდამ მზათ უნდა იყოს და პირველი საყვირის ხმაზედვე უნდა მიეშურებოდეს, ყოველის მხრივ მომზადებული, იქ, საითაც სამშობლოს მესვეურნი უჩვენებენ. ყოველისფერი უკვე მზათ უნდა იყვეს და რაიმე გაუგებრობას ორჭოფობას ამისთანა შემთხვევაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს; ამისათვის კი საჭიროა მშვიდობიანობის დროსვე ისე სწარმოებდეს მხედრობის სამზადისი ომისათვის, რომ ყოველთვის შეიძლებოდეს ეს თავისებურად შექმნილი საომარი მანქანა მწყობრად ამუშავდეს, ყოველი მისი ნაწილი შეხამებულად ამოძრავდეს.

14) დაჭრილ-მეომართა და ავადმყოფთა მოვლა-პატრონობა უპირველესი მოვალეობაა და რომ ეს ღირსეულად შესრულდეს, ამისათვის პირველ ყოვლისა საჭიროა მშვიდობიან დროსვე ხანგრძლივი სისტემატიური მუშაობა, რათა ეს დარგი სამხედრო სანიტარიისა ყოველის მხრივ უმწიკვლო და შეხამებული გამოდგეს ეს ყველასათვის ცხადია და მაშასადამე იმ დარგს, რომელიც ამ აპარატს დასჭირდება ომიანობის დროს, მშვიდობიანობის დროსვე უნდა ხელმძღვანელობდეს ის უწყება, რომელმაც უნდა აამუშაოს ეს აპარატი ომის დროს.

ამისათვის, მე არა მგონია, მიზან შეწონილად ჩაითვალოს სამხედრო საავადმყოფოების სრულიად გამოყოფა და სამოქალაქო უწყებისადმი მათი გადაცემა. ჩემის აზრით უმჯობესი იქნება მთელი სამხედრო სასანიტარო ნაწილი გადავიდეს ერთი პატრონის ხელში სამოქალაქო უწყებაში, ვიდრე დანაწილება, დაქსაქსვა ზემოაღნიშნულ სასანიტარო ნაწილისა. ეს უფრო მიზან-შეწონილად უნდა იყოს ცნობილი, რადგანაც არავითარ გაუგებრობას აღარ გამოიწვევს; მაშინ სამოქალაქო უწყება ისე მოაწყობს სანიტარიის საქმეს ჩვენ ჯარში, როგორც ამას დაინახავს საუკეთესოდ და დროს შესაფერისად.

15) დასასრულ, მე მგონია, რომ ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის დროს ჩვენ არ შეგვიძლიან ანგარიში არ გაუწიოთ იმ დადგენილებასაც, რომელიც მრავალ-რიცხოვანმა სამხედრო ექიმთა ყრილობამ გამოიტანა და რომელზედაც მე უკვე მოგახსენეთ.

ამ ყრილობაზე ორივე გუბერნიიდან იყვნენ თბილისში მოწვეულნი ჰოსპიტლის მთავარი ექიმები, თავიანთი თანაშემწეებით; აქვე იყვნენ ლაზარეთების და ჯარის ნაწილების ექიმები.

ამ ხალხს ძლიერ კარგათ აქვთ შესწავლილი მხედრული ცხოვრება, ზედმიწევნით ესმით მიმდინარე პირობებიც და იმავე დროს გამსჭვალულნი არიან მხოლოდ და მხოლოდ სამშობლოს კეთილდღეობით. და თუ ამ ხალხმა ერთხმად უარჰყო სამხედრო ჰოსპიტლების ჩამოშორება, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს იყო გამოწვეული არა რაიმე ჟინიანობით და პიროვნული მოსაზრებით, არამედ შედეგი იყო მათის გამოცდილებისა და დაკვირვების.

16) სამხედრო ჰოსპიტლების ჩამოშორებით ჩვენ მხედარ ამხანაგ ექიმებს აი უნებლიედ რას ვეუბნებით:

„თქვენ იქმნებით სამხედრო საველე ექიმებად; საავადმყოფოებში მუშაობა თქვენთვის მაინცა და მაინც ისეთ საჭიროებას არ წარმოადგენს. თქვენ ავადმყოფებს ჩვენ მივიღებთ ხოლმე საზოგადო საავადმყოფოებში და ომიანობის დროსაც, რაც თქვენ არ შეგეძლებათ მოუმზადლებლობის გამო, ჩვენ ვიკისრებთ“.

უნებლიეთ ასეთ დასკვნამდე მიგვიყვანს სამხედრო უწყებიდან ჰოსპიტლების გამოყოფა.

17) დემოკრატიულ პრინციპებზე აგებულ მართვა-გამგებლობაში ყოველი რთული საკითხი უნდა მუშავდებოდეს ქვეიდან და თუ ამ შემთხვევაში ანგარიშს არ გაუწევთ იმ პირთა დადგენილებას, ვის ხელშიაც სამხედრო სასანიტარო საქმეა, მაშინ რაღა საჭიროა მათი დაკითხვა.

18) როგორც დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიას შეუმუშავებია, ჩვენი ჯარის რეორგანიზაცია ასეთი იქმნება: მშვიდობიანობის დროს ჯარი შესდგება 12 ქვეითა ბათალიონისაგან, 1 საპიონერო ბათალიონისაგან, 1 ცხენოსანი რაზმისაგან 6 სანაპირო სადარაჯო ბათალიონისაგან, 4 საარტილერიო დივიზიონისაგან და დანარჩენ სხვა და სხვა წვრილ სატეხნიკო ჯარის ნაწილებისაგან. ჯარის რაოდენობა შეადგენს დაახლოვებით 15,000 ან ცოტა მეტს.

თუ მივიღებთ მხედველობაში სამხედრო ავადმყოფების 5 პროც. მაშინ საჭირო იქნება ვიქონიოდ 750 საწოლი ან 800.

ჩემის რწმენით, სამხედრო ჰოსპიტლები თბილისში და ქუთაისში უნდა დარჩნენ სამხედრო უწყების განკარგულებაში და ეს 750 საწოლი თანაბრად განაწილდეს ამ ჰოსპიტლებში.

სამხედრო ადგილობრივი ლაზარეთები: სურამისა, ახალქალაქისა, ახალციხისა, ფოთისა, ოზურგეთისა და სოხუმისა უნდა ადგილობრივ თვითმმართველობებს გადაეცეს ეხლავე, თავიანთი უძრავ-მოძრავი ქონებით. საკურორტო სტანციები: ბორჯომში და აბასთუმანში უნდა გადაეცეს სამაზრო ერობებს. სამხედრო ლაბორატორია საერთო უნდა იყვეს რესპუბლიკაში. საფთიაქო მაღაზია და სამხედრო სასანიტარო საწყობები სამხედრო უწყების საკუთრებად უნდა დარჩნენ.

ვალად უნდა დაედვას თვით-მმართველობებს იქონიონ თავიანთ საავადმყოფოებში განსაზღრული საწოლების რიცხვი სამხედრო პირთათვის, რომ თუ საჭიროება მოითხოვს, როგორც მშვიდობიანობის ისე ომიანობის დროსაც, შეგვეძლოს მათი იქ მოთავსება.

სამხედრო ჰოსპიტალებმაც (თბილისში და ქუთაისში) უნდა, ამ გვარადვე, იქონიონ განსაზღრული რიცხვი საწოლებისა მოქალაქე ავადმყოფთა მისაღებად. ავადმყოფთა შენახვა მოვლის ფასი გადაჭრილი იქნება ორივე უწყების საავადმყოფოებში და ურთიერთს შორის ამის ანგარიშს გასწევენ უწყებები.

საკურორტო სტანციებზედაც სამხედრო ავადმყოფთათვის საწოლები იქნება ამ გვარადვე მოწყობილი. აი ის გეგმა, რომელიც ჩემის აზრით, განსახორციელებელია და სასურველიც; არავითარ გაუგებრობას უწყებათა შორის არ დაბადებს და ადვილი მოსაყვანიც არის სისრულეში და აი რატომ?

ჩვენ არ შეგვიძლიან, როდესაც ეხლანდელი ჯარის რეორგანიზაციით ჯარის რიცხვი მცირდება, თვითეულ იმ პუნქტებში, სადაც პატარ-პატარა ჯარის ნაწილი იდგება, ლაზარეთები ვიქონიოთ იმათთვის.

ფინანსიურის მხრივ შეუძლებელია სამხედრო უწყებისათვის იქ, სადაც ამ ჟამად ადგილობრივი ლაზარეთებია გახსნილი, შემდეგშიაც დასტოვოს ეს ლაზარეთები მხოლოდ იმიტომ, რომ იქ პატარ პატარა ჯარის ნაწილები იდგება. და რადგანაც კი ეს პუნქტები დაშორებულები იქმნებიან დიდის მანძილით ცენტრს, (ჰოსპიტლებს) მხოლოდ ზოგიერთ ავადმყოფს ადგილობრივ საავადმყოფოში დასჭირდება მაინც რჩენა, ამისათვის მიზან შეწონილად უნდა ჩაითვალოს ის მოსაზრება, რომ ადგილობრივი ლაზარეთები თვით-მმართველობებს გადაეცეთ. არ შეგვეძლება 750 საწოლი დავაქუცმაცოთ და დავინაწილოთ ჰოსპიტლებისათვის და ლაზარეთების რადგანაც გამოწვეული ხარჯი შეუფერებელი იქნება.

ასეთი გადაცემით სახელმწიფოებრივი ხარჯი შემცირდება თვით-მმართველობებს, როგორც უახლოეს მეპატრონეებს, უფრო ადვილად შეეძლებათ მოაგვარონ ადგილობრივად სანიტარული საქმე. საჭირო აღარ იქმნება ორწყება საავადმყოფოების (სამხედრო და სამოქალაქო) გახსნა.

თბილისის და ქუთაისის ჰოსპიტლების სამხედრო უწყების ხელში დარჩენით კი თავიდან ავიცდენთ იმ ნ[illegible] და არევ დარევას, რომელზედაც მოთ ნათქვამში მოვიხსენიეთ.

სამხ. სასანიტარო განყ. უფროსის თანაშემწე ექ. ცხვედაძე.

# წერილი რედ. მიმართ

**პასუხი ყოფილ სამხედრო კავშირის სალიკვიდაციო კომისიას.**

თქვენი პასუხი, რომელიც მოთავსებულია გაზ „საქართველოს № 125-ში, ჩვენს შეკითხვას ვერ აკმაყოფილებს, როგორც სახელოსნოს გამგემ ბ. სირაძემ გადმოგვცა, თქვენი მუშაობა დიდი ხანია დამთავრებულა. სახელოსნოსთან თქვენ არაფერი საქმე ჰქონიათ. და ბ. სირაძესაც უკვირს რატომ დღემდის თქვენ კრებას არ იწვევთ და ანგარიშს არ გვაცნობებთ. თქვენის ლექსიკონით, რომ ვილაპარაკოთ, უნდა გითხრათ. რომ სახელოსნოს არა მკითხე კეთილის მყოფელი სწორედ თქვენი კომისსია ყოფილა.

ჩვენ მაინც მოვითხოვთ საერთო კრების სასწრაფო მოწვევას.

აგ. აბესაძე.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

**გ. გ. მუგრაბიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის-ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით [illegible] ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9-11 საათამდე და საღამოს 5--8 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4- 7- 92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის ალექსანდრე დავითის [illegible]

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს [illegible] საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნიუ“-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

სამხედრო სამინისტროს სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3.